# საქართველოს ქალი

(3-4) 2002



სიყვარულმა არ იცის საზღვრები

გვ. 8

645
2002

ლეილა აბაშიძე:

სიამაყეა ჩემი ნაკლიცა და ღირსებაც

გვ. 1-2

თამაზ წივწივაძე:

ჯერ ოჯახს მოვეკიდები,

ერე – ხარ-ურემს

გვ. 3

მერი პოპინსი რუსთაველზე ცხოვრობს

გვ. 9

ბედის ტრიალი – გზანი წამებისანი

გვ. 12-13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

რედაქციისაგან შეუკვეთავად მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali“

Georgian Woman. A Magazine for Women



# სიამაყეა ჩემი



***ამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქართველმა ერმა დიდი პატივი მიაგო თავის საყვარელ მსახიობს. აღინიშნა საპატიო საიუბილეო თარიღი, „ლეილა აბაშიძე – 60 წელი ეკრანზე“. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ისე იყო გადაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. ლეილა აბაშიძეზე ხშირად წერდნენ, რომ ასეთი მსახიობით ჰოლივუდიც იამაყებდაო. თავმდაბალი, ხალისიანი, საინტერესო ქალბატონი ჟურნალის საპატიო სტუმარია.***

***– ქ-ნო ლეილა, გვიამბეთ მშობლებზე, ოჯახზე, ხელოვანთა ოჯახი იყო?***

– რეაბილიტირებულთა ოჯახის შვილი ვარ. მამა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს. წყალთა მეურნეობის მინისტრი იყო, საბჭოთა კავშირის რიგით მე-14 ლენინის ორდენოსანი, დედა მედიცინის დარგის მუშაკი. როცა მამა ციმბირში გადაასახლეს, დეკაბრისტების ცოლების მსგავსად დედა თან გაჰყვა. ჩემი ძმა იქ დაიბადა. ხუთი წლის ვიყავი, როცა საცხოვრებლად მაგადანში მოვხვდით. ხელოვანთა ოჯახი გვქონდა. ყველანი ვმღეროდით. ბებიაჩემი და ზურაბ ანჯაფარიძის ბაბუა და-ძმანი იყვნენ, მე და მამა ციმბირში პატიმრებისათვის ვმართავდით კონცერტებს, „სიბირსკაია პრავდაში“ ჩვენს აქტიორულ მონაცემებზე დაიბეჭდა სტატია „მამა-შვილი“. როცა მამა დახვრიტეს, იქ არაფერი გვესაქმებოდა და სამშობლოში დავბრუნდით, უსახლკარონი, უსახსრონი, არაფრის მქონენი, ცხოვრების დაწყება თავიდან მოგვიხდა.

***– თქვენი ბედი „ქაჯანამ“ გადაწყვიტა თუ სხვა გარემოებამაც შეუწყო ხელი. როგორი ბავშვი იყავით – ცელქი, დინჯი, პრანჭია?***

– ცხოვრებისეულმა გარემოებამაც განაპირობა ჩემი მსახიობობა. ისეთი მგრძნობიარე ვიყავი, არაფრის გამო შემეძლო მეცინა, მეტირა, როცა სიკვდილმისჯილებთან შიო მღვიმელის „ობოლს“ ვკითხულობდი, სულ ცრემლებად ვიღვრებოდი.

ახალი ჩამოსული ვიყავი, „ქაჯანაზე“ კონკურსი რომ გამოცხადდა. მამიდამ კინოსტუდიაში მიმიყვანა, უამრავი მოვლილი, გალაღებული ბავშვი იღებდა მონაწილეობას ამ კონკურსში. მე საცოდავად გამოვიყურებოდი, დამიწუნეს. გულდაწყვეტილი, კიბის მოაჯირს მოვაჯექი და თავქვე დავეშვი, კინორეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილს ისეთი ძალით დავეჯახე, ქუდი გადაუვარდა. დავიხარე, მივაწოდე, ბოდიში კი მოვუხადე. ბატონი კონსტანტინეს თვალს რა გამოეპარებოდა და მეუბნება: გინდა კინოში გადაგიღო? – გინდა, გინდა-მეთქი (ქართული ხეირიანად არ ვიცოდი) ვუპასუხე. ნამდვილი ველური ციმბირელი ვიყავი, კინოც კი არ მქონდა ნანახი. მომიბრუნდა და ისევ მეუბნება, იცი, შენი ძმა დამუნჯდა (მართალი მეგონა), რომელი-მეთქი და საშინელი ღრიალი მოვრთე, ანეკდოტი მომიყვა, ამაზე ისტერიული სიცილი ავტეხე და ასე გადაწყდა ჩემი ბედი. „ქაჯანა“ მსოფლიო კინოს ათეულში შეიტანეს. მე და თენგიზ ამირანაშვილი ოქროს საათებით და „არტეკის“ საგზურებით დაგვაჯილდოვეს. ჩავედით „არტეკში“ და დაიწყო ომი, ველარ ვბრუნდებით საქართველოში. გულისშემძვრელი იყო უკრაინელი და ბელორუსი ბავშვების გოდება, დარჩნენ უსახლონი, უმშობლებოები. ყუმბარების წვიმა მოდიოდა. რის ვაი-ვაგლახით ჩაგვიყვანეს მოსკოვში, თვენახევრის შემდეგ ჩამოვედით თბილისში.

„ქაჯანასთვის“ მიღებული ჰონორარით ვიყიდეთ პაწია ოთახი კიროვის პარკთან ნავთის წერტის თავზე. ძმა ბებიასთან იზრდებოდა სოფელში, ჩამოვიყვანეთ და ერთად მოვიყარეთ თავი. ბატონ კონსტანტინეს მეორე მამად ვთვლიდი, იმდენი ამაგი ჰქონდა ჩემზე.

***– რა დაამთავრეთ?***

– თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

***– საყვარელი როლი, რეჟისორი, პარტნიორი?***

– კატო, მაია წყნეთელი – ნამდვილი ეროვნული გმირი, რომელშიც შევძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკლიცა და ღირსებაც

22543

აქტიორული გარდასახვა, თუმცა, როგორც ყოველთვის უკამარისობის გრძნობა მაინც დამრჩა. ფილმებიდან „ჭრიჭინა", „შეხვედრა წარსულთან". რეჟისორებიდან მწყალობდნენ: სიკო დოლიძე, რეზო ჩხეიძე, ნიკოლოზ სანიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ნანა მჭედლიძე, ლანა ღოღობერიძე, ვინლა დარჩა, თითქმის ყველა. როცა ამერიკაში „შეხვედრა წარსულთან" უჩვენეს, გაზეთ „დეილი უორკერში" დაიბეჭდა კინომცოდნე ბენ ლევინის სტატია, საბჭოეთს ჰყავს საკუთარი მერი პიკფორდი ლეილა აბაშიძის სახითო. „ორომტრიალმა" ტოკიოს მეორე მსოფლიო ფესტივალზე, რომლის თავმჯდომარე გრეგორი პეკი იყო, საუკეთესო რეჟისურისათვის პირველი პრემია მიიღო, ცალკე აღინიშნა ჩემი აქტიორული მონაცემები.

ვისთანაც მითამაშია ყველანი მიყვარს, გადაღების დამთავრების შემდეგ ლამაზად მთავრდებოდა ჩვენი ურთიერთობა. განსაკუთრებით გამოვყოფ ადამიანური თვისებების და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე თენგიზ არჩვაძეს.

***– პირადი ცხოვრება, ოჯახი, მეუღლე, სხვა გატაცებები...***

– ადრე გავთხოვდი, მყავდა მეუღლე ჩემზე საკმაოდ უფროსი, ექიმი პათანატომი, ცნობილი აკადემიკოსის სერგი დანელიას ვაჟი ბიჭიკო (გიორგი) დანელია. იგი ჩემი იდეალი იყო, როგორც მრავალმხრივ განათლებული, კარგი სპეციალისტი, ენების მცოდნე, ჯაზის პიონერი, გიტარისტი. კარგად ხატავდა, ხელს მიწყობდა მუშაობაში, არავითარი ეჭვიანობა. ჩვიდმეტი წელი გავატარეთ ერთად, არავითარი გატაცება არ ყოფილა, ისე დავშორდით. ვაჟი წამომეზარდა, თავს არ მივეცი უფლება ბედი თავიდან მეძებნა.

***– რომელ რეჟისორთან მუშაობამ მოგიტანათ განსაკუთრებული აღიარება?***

– ორი დიდი ჯილდო მარგუნა სიკო დოლიძის „ჭრიჭინამ" და მისივე დრამამ „შეხვედრა წარსულთან". საკავშირო ფესტივალზე პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ლენინგრადში მომცეს, მეორეჯერ ამიერკავკასიის კინოფესტივალზე პრიზი-დიპლომი – „За подлинный драматизм и трагизм,", განსაკუთრებით მიზიდავდა დრამატული როლები. ბატონი სიკო უდავოდ საინტერესო დრამატურგი და რეჟისორი გახლდათ, უტყუარი ალღოს პატრონი, ნიჭის შემფასებელი. როცა „კაცია-ადამიანს" იღებდა, დარეჯანის როლი შემომთავაზა, ავთო მახარაძეს – ლუარსაბის. გამიკვირდა, კაფანდარა ვიყავი, სად მე და სად დარეჯანი-მეთქი, თუმცა, რომ არ დაგიმალოთ, ვოცნებობდი ამ როლზე. მირეკავს ბატონი სიკო და მეუბნება – ლეილა, დაჯექი, გადაიკითხე ილია, ნახე, შენს ბუნებას როგორ ესადაგება, შენს მონაცემებს, შენს გარდასახვის უნარს, თავისუფლად შეგიძლია ქალის კი არა, კაცის როლიც დასძლიოო. გადამიღეს სინჯები, ღრჯოლებიანი, ბალიშებგამოტენილი გვერდებით, არც ისე ურიგო დარეჯანი გამოვდექი. სიკო შეუძლოდ იყო უკვე, მისი დაწყებული საქმე ქეთიმ გააგრძელა, მე და ავთო სხვადასხვა როლებში დავკავდით და ასე დასრულდა ეს შემოთავაზება.

***– თქვენზე რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ – ჰოლივუდის ვარსკვლავობა შეეფერებოდაო...***

– საკუთარ თავზე უხერხულია ამ ქათინაურის გამეორება, თუმცა როცა ჰოლივუდში გახლდით, ექვსი დღე ჩემს ფილმებს უჩვენებდნენ. ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა, ჩემი გვარი ვარსკვლავებად წოდებული ჯეკი კუგანის, ლიზი ტეილორისა და იაპონელი ჰირო-უ-სიუს გვერდით მოიხსენიებოდა.

იტალიაში და საფრანგეთში ორ-ორჯერ გახლდით საბჭოთა ფილმების კვირეულზე. იქ უამრავი სტატია დაიწერა „ჭრიჭინაზე", „აბეზარაზე" და „მაია წყნეთელზე".

***– თუ უხერხული არაა, გვიპასუხეთ რა მოხდა თქვენსა და გოჩა აბაშიძეს შორის. მის თვითმკვლელობას ავი ენები თქვენდამი სიყვარულს მიაწერდნენ და უამრავ ჭორს ავრცელებდნენ...***

– გოჩას ყოფილმა ცოლმა, ნუნუ გაბუნიამ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა – ლეილა გოჩას სიკვდილში უდანაშაულოაო. ისინი უკვე დაშორებულები იყვნენ, თავს თავისუფალ კაცად თვლიდა, უთუოდ ჩემით გატაცებული იყო, მაგრამ მე ოჯახი მქონდა. იგი იყო პოეტი, ქართველი ჟერარ ფილიპი, არაჩვეულებრივი გარეგნობის პატრონი, როცა რაიმეზე განერვიულდებოდა, სვამდა, თავის მოკვლის მიზეზი უთუოდ სხვა რამ იყო.

***– ალბათ, გული მაინც გტკივათ, რომ მეტის გაკეთება შეგეძლოთ და ვერ დაიხარჯეთ, რას მივაწეროთ ეს გარემოება?***

– 70-იან წლებში, ზენიტში ყოფნის დროს, როცა ზედიზედ ორი ჯილდო მივიღე, შეწყდა ჩემი კარიერა. უმჯობესია ამაზე კინომცოდნეებმა თქვან. სულ ველოდებოდი მიწვევას, ვემზადებოდი, მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ გავირიყე ჩემი საყვარელი საქმიდან, მინდა შემთხვევითობას მივაწერო.

***– რას ინატრებთ?***

– ჩემი ასაკისათვის შესაფერის კარგ როლს. ჩემმა სათაყვანებელმა სესილია თაყაიშვილმა „დათა თუთაშხიაში" და „ცისფერ მთებში" ისეთი ორი როლი შექმნა, უდავოდ „ოსკარს" იმსახურებს. იმედს მაინც არ ვკარგავ, რეჟისორები გამიხსენებენ.

***– თქვენი ჰობი?***

– ჩემი შვილიშვილი გიორგი (ბაბუის სახელია). შემოქმედებით და სულიერ საზრდოს მუდამ ბავშვებისგან ვღებულობ. ვოცნებობ, საბავშვო ფილმი გადავიღო, პიპინაშვილის გზა გავაგრძელო...

***– მორწმუნე ხართ, ბედისწერის თუ გჯერათ?***

– ბუნებით მორწმუნე ვარ. „ქაჯანა" გერის წმინდა გიორგის ეკლესიაშია გადაღებული, ფილმის სცენარმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, ბევრი რამ შთამაგონა.

***– ბედნიერ ქალად თუ თვლით თავს?***



● „აბეზარა" ლეილა აბაშიძე და თენგიზ მუშკუდიანი



● „ხევისბერი გოჩა"



● „ხევისბერი გოჩა"



● „თბილისი–პარიზი"



საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა ლეილა მშობლებთან



იუბილე



შვილიშვილთან



მხატვარ რეზო ადამიასთან

– რა თქმა უნდა, ადამიანი ბედნიერია, რადგან გაჩნდით, მოგენიჭა სიცოცხლის უნარი, არ უნდა დაგვავიწყდეს, ხშირად ვიმეოროთ „მადლობა უფალო, რომ ცოცხალი ვარ", რომ მზე დაგვნათის, ყუმბარები არ სკდება ჩვენს თავზე, უმადურობაზე ცუდი ამქვეყნად არაფერია.

***– როდის იგრძენით რომ გიყვარდათ, რამდენი წლის იყავით?***

– სულ პირველად პლატონურად ვიყავი შეყვარებული. არ ვიცნობდი, ხელშიდაჭრილი ჯარისკაცი იყო. ჩემი სახლის აივნიდან ვხედავდი, ის ჩემი გმირი იყო, მერე უცბად გაქრა, ალბათ ომს თუ დაუბრუნდა.

***– ქ-ნო ლეილა, როგორი დედა იყავით ერთადერთი ვაჟისათვის, როგორი ბებია ხართ?***

– „გიჟი" დედა ვიყავი, უსაზღვრო, თავდავიწყებული სიყვარული ვიცი, გავხალისდით, ჩემი რძალი ქეთი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, ჩემი გიორგის დედა. იგი ხელოვანია, ვეთაყვანები მის ვოკალურ ნიჭს. ჩემმა ვაჟმა რამაზმა უნივერსიტეტი დაამთავრა, მუსიკოსიცაა, მამამისივით ჯაზი იტაცებს.

***– პრეტენზიული ხართ და ვის მიმართ?***

– ცხოვრებამ არ გამანებივრა, აბსოლუტურად უპრეტენზიო ყველას მიმართ, მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, გულს ვიღრღნი, მხოლოდ საკუთარ ნაკლს ვხედავ, სხვებში დადებითს ვეძებ.

***– არიან მსახიობები, რომლებიც აქტიურად ერევიან პოლიტიკაში, თქვენ?***

– პოლიტიკას ახლოსაც არ ვეკარები, პატრიოტი ნამდვილად ვარ, მინდა ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, კარგად ცხოვრობდეს.

***– როგორი ხასიათი გაქვთ, ფეთქებადი თუ მშვიდი?***

ქეთი არ აცლის და თავად პასუხობს:

დედა ზედმიწევნით მშვიდი, ხალისიანი, გაწონასწორებული, კაცთმოყვარე პიროვნებაა, ბედნიერებაა მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, არანაირ პრობლემას არ შეგიქმნის, არ მეგულება მეორე მსგავსი პიროვნება.

***– რა განსაკუთრებული თვისება გაქვთ?***

– სიამაყე ჩემი ნაკლიცა და ღირსებაც.

ვცდილობ, სულ კარგ ხასიათზე ვიყო, არავინ დავამძიმო, მიხარია გათენება, ყოველი დღე ღმერთის საჩუქარია.

***– უარყოფითი და დადებითი თვისება?***

– მალე მავიწყდება წყენა. დიდი პატიება და მიტევება შემიძლია. ეს რომ არ შემძლებოდა, ამდენი წლის უმოქმედობას, ამდენ მიყენებულ დაუმსახურებელ ტკივილს როგორ დავძლევდი. ადამიანი ტყვიით კი არა, მორალურადაც შეიძლება მოკლა, თუმცა ყველანაირ მდგომარეობას ადვილად ვეგუები.

ჩემი ყველაზე დიდი ამჟამინდელი ბედნიერება ბებიის როლი და პლუს ხალხის სიყვარულია.

***– და ბოლოს, რარიგ დასანანია, რომ მარტო ეკრანით შემოიფარგლეთ, ბედი თეატრშიც ხომ არ გიცდიათ?***

– როცა თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, კინოს ფაკულტეტი არ არსებობდა. „ქაჯანაში" კატოს როლი, „აკაკის აკვანში" ნაზიბროლა და „ოქროს ბილიკში" მქონდა ნათამაშები. მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ვიყავი. რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე და მე „რუსთაველის" თეატრში დაგვტოვეს. პირველი როლიც მომცეს, მაგრამ მალე გავთხოვდი, დეკრეტულ შვებულებაში გავედი. მერე „ჭრიჭინაზე" მიმიწვიეს, ამას „აბეზარა" მოჰყვა. ჩვენი სადიპლომო ნამუშევარი მიხეილ თუმანიშვილის საყვარელი სპექტაკლი ტურგენევის „ერთი თვე სოფლად" იყო. ნატალია პეტროვნას ვასრულებდი. დიდი მაესტროს გემოვნებით დრამატული როლებისათვის უფრო მოვიაზრებოდი, ვიდრე კომიკურის. გამიტაცა კინომ, მიწვევა მიწვევაზე მქონდა, თეატრისათვის დრო აღარ მრჩებოდა. მსახიობს ყოველდღიური ვარჯიში სჭირდება. დიმიტრი ალექსიძე არ მეშვებოდა, გაჩეჩილაძის „ამირანში" თეონას როლი განვასახიერე, „სეილემის პროცესში" – აბიგაილი, „დაკარგულ ბარათში" – კარაჯალი, პარალელურად მილებდნენ ფილმებში „შეხვედრა წარსულთან" და „შეხვედრა მთაში". დირექციამ მომთხოვა ამერჩია თეატრი ან კინო! გავაკეთე ავბედითი გადაწყვეტილება, ორივეგან რომ ვყოფილიყავი, ხელი არ შემიწყეს. ბატონ მიშას სასტიკად არ უყვარდა გაორება, იცოდა თქმა, ვინც კინოში წავა, მისი ადგილი თეატრში აღარააო. თუმცა, მოგვიანებით კი დაუშვა გამონაკლისები. პაუზა დიდი გამომივიდა, დიდი სურვილი მქონდა თეატრში დაბრუნებულიყავი, მაგრამ ჩემთვის ყველა თეატრის კარი გამოიკეტა. ცუდი დროც დაგვიდგა. რუსული კინემატოგრაფიის ფუძემდებელი პუდოვკინი წერს: „მსახიობს ტალანტთან ერთად უნდა ჰქონდეს მგლის კბილები და მელიის კუდი". სავალალოდ თუ საბედისწეროდ, მე არც ერთი მაქვს და არც მეორე.

***

**ფილარმონიაში ქ-ნი ლეილას საიუბილეო საღამოზე ბატონმა რეზო ჩხეიძემ, ფართო აუდიტორიის გასაგონად ბრძანა: დროა, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე ნინო რამიშვილის, ნანი ბრეგვაძის და ლიანა ისაკაძის გვერდით ლეილა აბაშიძის ვარსკვლავიც აკაშკაშდესო.**

**ხალხიც ასე ფიქრობს.**

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჟურნალი „საქართველოს ქალი“ და მისი მკითხველი საიუბილეო თარიღს – დაბადების 60 წლისთავს ულოცავს ბატონ თამაზ წივწივაძეს, ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.*

*გთავაზობთ ინტერვიუს იუბილართან.*

# ჯერ ოჯახს მოვეკიდები და მერე – ხარ-ურემს...

***–ბატონო თამაზ, შეგისრულდათ სამოცი წელი... ეს ასაკი ვისთვის როგორ აღიქმება: ზოგი სომერსეტ მოემივით „შეჯამებას“ წერს, ზოგი ახალგაზრდული ენერგიით იწყებს ახალი გზების ძიებას. თქვენ?***

– მანანა, ძვირფასო, რასაც ახლა ჩემგან მოისმენთ, ძალიან გთხოვთ, იმის კომენტარს ნუ მომთხოვთ!

არადა, მე არც სომერსეტ მოემივით დავიწყებ ჩემი განვლილი ცხოვრების შეჯამებას და, მით უმეტეს, არც ახალგაზრდული ენერგიით შევუდგები ახალი გზების ძიებას!

მე, ცოტახანში, მშობლიურ სოფელს დავუბრუნდები, ჯერ ოჯახს მოვეკიდები და მერე ხარ-ურემს!

იქნებ, იმდენიც ვქნა, თბილისში გატარებული 35 წელიწადი მეხსიერებიდან ისე ამოვაგდო, თითქოს დედაქალაქში არც არასდროს ჩამოვსულვარ და არც არასდროს მიცხოვრია!

ერთი სიტყვით, ჩემი ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი დავივიწყო მინდა...

ოღონდ, ეს ცოტა გვიან მოხდება და, ვიდრე წავსულვარ, თქვენს სხვა კითხვებსაც მინდა გულწრფელად ვუპასუხო!

***– ცნობილი ტრიადა „ხელოვანი, დრო, ხელისუფლება“ როგორ წარმოგესახებათ დღევანდელ დღეს? და კიდევ: თქვენის ფიქრით, „ხელმწიფის ნავში“ ჯდომა უფრო ძნელია თუ... ე. წ. ოპოზიციონერობა?***

– ასეთ დროს, რა დღეშიც ახლა ჩვენი ტურფა საქართველოა, არც ხელისუფლება ჰგავს ხელისუფლებას და არც ხელოვანი – ხელოვანს!

ქვეყანას ღირსების გრძნობა აქვს დაკარგული!

ღმერთმა ნუ ქნას, ასე კიდევ დიდხანს რომ გაგრძელდეს, თორემ ქართველი კაცი დაკარგავს ყველა იმ თვისებას, რითაც თავი მოაქვს და სხვათაგან გამორჩეულია!

ხოლო რაც შეეხება „ხელმწიფის ნავში“ ჯდომას, ქართული მწერლობა სხვის ნავში – თუნდაც ხელმწიფისაში – არასდროს ჩაჯდება!

შეიძლება, ამის მსურველი თითო-ოროლა მწერალი ყველა დროში აღმოჩნდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი ქართული მწერლობაც ასე მოიქცევა!

ჩვენი უკეთესი მწერლები მუდამ გარიდებული არიან სამთავრობო აპარტამენტებს და ქართველი ხალხის გულსაა შეფარებულნი!

ისინი, როგორც წესი, ისტორიულადაც თავის ქვეყანას ემსახურებიან და არა თავისი ქვეყნის მთავრობას!

თუმცა – ამასაც მინდა ხაზი გავუსვა – ქვეყნის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ხელისუფლების სამსახურში ყოფნა, ქვეყნის სამსახურში დგომასაც ნიშნავს!

დღეს სწორედ ასეთი დროა –

ქართული მწერლობის გარეშე, ვერცერთი სახელისუფლო გემი მეჩეჩზე ჯდომას ვერ აცდება!

***– თქვენს პოლემიკურ წერილებში, თვით ყველაზე კრიტიკულსა და მძაფრშიც კი, თხრობის ერთგვარი „სილაღე“ გამოსჭვივის, თითქოს არც განაღვლებთ, გულს რომ გტკენენ, ან თქვენ ტკენთ ვინმეს გულს; არადა, ბატონო თამაზ, თქვენზე ამბობენ, გულჩვილი და რბილი ხასიათის კაციაო... და ეს აშკარად ჩანს თქვენს „ზეპირ“ გამოსვლებში – თითქოს ეკრძალებით ოპონენტს, უფრო თავს იცავთ, ვიდრე ესხმით. რატომ ხდება ასე?***



– ის, რაც თქვენ ჩემს ნაწერებში შეგიმჩნევიათ, ლიტერატურის ათობით სპეციალისტსაც აქვს დანახული და თვლიან – ეს კრიტიკის ის მიმართულებაა, რომელსაც, მხოლოდამხოლოდ, ჩემს სახელთან აკავშირებენ!

ანუ, ლიტერატურათმცოდნეების აზრით, მე პირადად, 15 საუკუნოვან ქართულ მწერლობაში, კრიტიკის სრულიად ახალი ჟანრი დამიმკვიდრებია!

ხოლო იმის საბუთად, რომ ეს თავისთავად მშვენიერი დაკვირვება მარტო თქვენგან არ მოდის, აქვე ირაკლი აბაშიძის მიძღვნითი ხასიათის სტრიქონებსაც დავიმოწმებ:

**სულით და გულით ჩემს ძვირფას თამაზს, –**
**სულ ახლებური კრიტიკის მამას...**

ხოლო რაც შეეხება იმას, ჩემზე რომ ამბობენ თურმე: „გულჩვილი და რბილი ხასიათის კაციაო“, თუკი ასეთი შეხედულება ხალხში მართლაც არსებობს, ეს ჩემთვის ცუდი სულაც არაა, იმის მიუხედავად, რომ გულჩვილი ნამდვილად არა ვარ!

ყოველ შემთხვევაში, როცა ახლა ეს ამბავი თქვენგან გავიგე, თვალთაგან ცრემლი არ წამცდენია!

არადა, თუ სიმართლე გინდათ, იცოდეთ, ჩემი განწყობა იმისდამიხედვით იცვლება, ვინ დგას ჩემს წინ – მტერი თუ მოყვარე!

მტერთან მახვილი ვარ!

მოყვარესთან – ფარი!

***– ოპონენტები ხშირად გსაყვედურობენ, „ლიტერატურული საქართველო“ თავის ლიტერატურულ მოვალეობას თავს ვერ ართმევსო, პოლიტიკურ დებატებს უფრო მეტი ადგილი ეთმობაო და ა. შ. რას იტყოდით?***

– „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოვალეობაა, ქვეყანაში შექმნას ნორმალური ლიტერატურული ატმოსფერო – დაბეჭდოს კარგი ნაწარმოებები და გზა გადაუკეტოს ცუდს!

ამას, ასე თუ ისე, ყოველთვის ვახერხებ: თუ ვინმე მეტყვის, რომ მე, რომელიმე კარგ მწერალს ხელი შევუშალე იმაში, რომ მისი კარგი ლექსი თუ მოთხრობა ჩემს გაზეთში არ გამოვუქვეყნე, ნამდვილად გასაკიცხი ვიქნები!

მაგრამ არაა ეს ასე! – ყოველ მნიშვნელოვანი ნაწარმოების შემოთავაზებას სიხარულით ვიღებ!

რაც შეეხება იმას, რომ მწერლების გაზეთში „პოლიტიკურ დებატებს უფრო მეტ ადგილს ვუთმობ“, ესეც ქვეყანაში შექმნილმა ახლანდელმა ვითარებამ მოიტანა!

რასაკვირველია, ქართული მწერლობა გულგრილი ვერ იქნება იმ მოვლენების მიმართ, რაც დღეს ჩვენს ზედმეტად პოლიტიზი-

რებულ საზოგადოებაში ხდება!

თუმცა, ამის მიუხედავად, „ლიტერატურული საქართველო“ მაინც ვერ დაემსგავსება ტროლეიბუსის გაჩერებასთან საკითხავ გაზეთებს..

***- თუ ეცნობით იმ პოეტურსა თუ პროზაულ ქმნილებებს, რომლებიც სხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება, ანდა, წიგნებად გამოიცემა, და საერთოდ, რა აზრის ბრძანდებით ახალგაზრდა მწერლებზე, რომელს გამოარჩევდით? ბარემ აქვე გეტყვით, ბატონო თამაზ, რომ ძალიან მოგვენატრა თქვენი ლიტერატურული ხასიათის კრიტიკული წერილები.***

– ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მე ლიტერატურული გურმანი გახლავართ და, რასაკვირველია, ყოველგვარ სისულელეს ვერ წავიკითხავ!

ახალ ნაწარმოებებსაც ამორჩევით ვეცნობი!

ამ „შეზღუდვების“ მიუხედავად, მე მაინც ბევრი ახალგაზრდა ავტორი წამიკითხავს და რაც ამ სფეროში ხდება, თითქმის საქმის კურსში ვარ!

ამათგან ბევრი მომწონებია კიდეც!

ჩამოთვლაც შემიძლია, მაგრამ ამას არ გავაკეთებ თუნდაც იმიტომ, რომელიმე რომ გამომრჩეს, ქვეყანას შემიყრიან – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედს არ იცნობსო!

არადა, როგორ არ ვიცნობ, მაგრამ ბევრი არ მომწონს და, ეგაა!

განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებიდან, სატელევიზიო არხიდან რომ ეცნობიან მკითხველებს და არა – წიგნებიდან!

ხოლო იმათ, ვისაც ჩემი ლიტერატურული ხასიათის წერილები მოენატრათ, ვეტყვი: ვინ იცის, შეიძლება, ამის დროც დადგეს!

თუ არადა, ჩემზე ათასჯერ უკეთესი მწერლებიც დარჩენილან უსაქმოდ და არც ამაზე მოუკლავთ თავი მკითხველებს!..

***– ეს ინტერვიუ ჟურნალ „საქართველოს ქალში“ დაიბეჭდება და, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რას ფიქრობთ თანამედროვე ქართველ ქალებზე და რას უსურვებდით ჩვენი ჟურნალის მკითხველს?***

– თქვენი ჟურნალის მკითხველებს, უპირველესად, იმას ვუსურვებდი, რომ ისინი, თუ პირადად ჩემი არა, ჩემი გაზეთის მკითხველები მაინც გამხდარიყვნენ!

ხოლო რაც შეეხება ქალებთან ჩემს დამოკიდებულებას, აქ საქმე გაცილებით მარტივადაა!

ხომ გსმენიათ, „სადაც კარგი გოგო ვნახე, ყველა ჩემი მეგონა“-ო, ჩემი საქმეც ასეა, დაახლოებით!

სხვათა შორის, არც ჩემი მხრიდან ექმნებათ ქალებს პრობლემა – როცა უნდათ, სადაც უნდათ – ყოველთვის მათი ვიქნები!

საერთოდ, მინდა იცოდნენ, ისეთი სათქმელიც რომ გამიჩნდეს, რომელსაც ყურში ჩაჩურჩულების გარდა, ხმამაღლა ვერავის ეტყვი, თვით ასეთ შემთხვევაშიც კი – „ძვირფასო ქალებო, არ მოგერიდებით!“

**ესაუბრა მანანა ზარიძე**

ბედი მდევარი

# სიცოცხლის



**● „გიორგი სააკაძე“ – მზევალი**



**● „ოტელო“ – ბიანკა**

ლიდა ყარალაშვილი, 92 წლის ქალბატონი, თითქმის საუკუნის თანატოლია. იგი იმ დროს დაიბადა, როცა მეოცე საუკუნე ძალაში შედიოდა და, როცა თავადიშვილობა სასტიკი სასჯელის ტოლფასი გახდა. მეოცე საუკუნე ისტორიის „წესებს“ არ ემორჩილებოდა. მას „სისხლი და ცხედრები“ მრავლად უნდა მოეტანა. ასე ინება განგებამ და ასეც მოხდა...

– ოჯახში ოთხი და-ძმა ვიზრდებოდით, – იხსენებს ქ-ნი ლიდა, – მამა – დავითი ნაფარეულის სამეფო მამულში აგრონომად მუშაობდა, დედა – თამარი მასწავლებელი იყო. ჩვენი გვარი ერთ-ერთი ძლიერი და ცნობილი გვარი იყო კახეთში – უზარმაზარი ადგილ-მამულებისა და უამრავი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელები ვიყავით, მაგრამ ჩვენი ოჯახის ბედნიერება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დამთავრდა. თითქოს ცა დაგვემხო თავზე. მამა ახალი გარდაცვლილი იყო და ჯერ მის სიკვდილს ვერ შევგუებოდით, რომ კარს ახალი სატანჯველი მოგვადგა. რაც კი გვებადა, ყველაფერი ბოლშევიკებმა წაგვართვეს და უკანასკნელი გლახებივით გამოგვყარეს სახლიდან. რის ვაი-ვაგლახით ჩამოვაღწიეთ თბილისამდე და თავი დედაჩემის ძმას შევაფარეთ.

ყვარელში კი ამ დროს ცეცხლის კალო გრძელდებოდა. ყარალაშვილები დაუნდობლად ამოწყვიტეს. კოხტა ყარალაშვილი (ცნობილი მსახიობი) მამას ბიძაშვილი იყო. ერთი ძმა გენერალი ჰყავდა, მეორე – პოლკოვნიკი და ორივე დახვრიტეს. თავად კოხტა სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ იმხანად თხუთმეტი წლის იყო.

საქართველო საუკეთესო შვილების სისხლში იხრჩობოდა. დიდხანს აწვიმდა ღვთისმშობლის ცრემლები თბილისს. განუკითხავად იჭერდნენ და ხვრეტდნენ ან სადღაც მოუსავლეთში აგზავნიდნენ ერის რჩეულთ. მაშინ ყოველი მეორე უდანაშაულო დამნაშავე იყო. რატომ? რისთვის? ვინ უწყის... თუმცა კითხვის დასმას ვინ გაბედავდა, ხმის ამოღება სახლშიც ეშინოდათ, რადგან კედლებსაც კი ყურები ჰქონდა გამოსხმული. უხმოდ იტანდნენ გაჭირვებასა და ტკივილს ლიდას ოჯახის წევრებიც. ერთმანეთს ამშვიდებდნენ, კიდევ კარგი, ერთად მაინც ვართო და ვერც წარმოიდგენდნენ, ბედისწერა მორიგ გამოცდას თუ უმზადებდა. მფარველი ბიძა გარდაიცვალა და სისხლი და ხორცი ერთმანეთს დააშორეს. ერთი და ერთ ნათესავთან იზრდებოდა, მეორე – მეორესთან. ძმაც რომელიღაც შორეულმა ნათესავმა შეიკედლა. თერთმეტი წლის ლიდა კი ლენინგრადში გაამგზავრეს დედის ძმასთან, რომელსაც იმხანად მაღალი თანამდებობა ეჭირა და საკმაოდ შეძლებულადაც ცხოვრობდა. ბიძამ ობოლი დისშვილი ღვიძლი შვილივით მიიღო და მზრუნველობას არ აკლებდა. ლიდა საბალეტო სასწავლებელში სწავლობდა, პარალელურად მსახიობის ოსტატობას ეუფლებოდა. თითქოს ამოისუნთქა, თითქოსდა ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, მაგრამ მონატრება, თავისიანების უსაშველო სიყვარული

# ქალის გადარჩენილი

მოსვენებას უკარგავდა და, როგორც კი დროს გამონახავდა, თბილისში „ჩამორბოდა“... ასე გაიარა ექვსმა წელიწადმა და... ლიდას ბიძა დაიჭირეს. ათი წლით ციმბირში გადაასახლეს, მეუღლე თან გაჰყვა გადასახლებაში. ჩვიდმეტი წლის მშვენიერი ქალიშვილი საქართველოში დაბრუნდა, სადაც კვლავ შიში და განუკითხაობა მეფობდა.

ლიდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მოეწყო და სწავლის პარალელურად ჯერ სატირის სტუდიაში, შემდეგ კი მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობდა, სადაც არაჩვეულებრივ მსახიობებთან ერთად გამოდიოდა სცენაზე: თამარ თვალიაშვილი, გოგუცა კუპრაშვილი, ნინა ერისთავი, მერი ერგნელი, ქეთო ჩეჩელაშვილი. „ეს მართლაც ლამაზი და შთამბეჭდავი წლები იყო“, — მოგონებები სახეს უცისკროვნებს ქ-ნ ლიდას.

სწორედ იმ ლამაზ და შთამბეჭდავ წლებში მომხიბვლელმა ქალიშვილმა ახოვანი, წარმოსადეგი, სიმპათიური მამაკაცი გიაიცნო —შალვა გორგაძე...

ჩემს კითხვაზე, მაშინვე მოგეწონათ-მეთქი? — ქ-ნმა ლიდამ ჯერ წარბები შეიკრა და ცოტა არ იყოს მკაცრად მიპასუხა: — რას ამბობთ, ჩემზე თერთმეტი წლით უფროსი იყო, თანაც ცოლშვილიანი იყო. გულში მსგავსი არაფერი გამივლიაო. თუმცა შემდეგ გაეღიმა და გამომიტყდა: — მას მაშინვე მოვეწონე თურმე...

ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ ქალიშვილს სხვისი ოჯახის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება არც უფიქრია. და მაინც, რაღა ბევრი გავაგრძელო, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და მითქმა-მოთქმისა, ახალგაზრდები დაქორწინდნენ...

— შალვა შესანიშნავი მუსიკოსი იყო. იმხანად თავისივე დაარსებული მილიციის ორკესტრს დირიჟორობდა. არტისტული ბუნების იყო და ფორმის ჩაცმა მისთვის ნამდვილ სატანჯველს წარმოადგენდა. რამდენჯერაც დააპირა ორკესტრიდან წასვლა, იმდენჯერ უარი უთხრეს. ერთხელაც აფხაზეთიდან ნესტორ ლაკობა ჩამოვიდა, რომელმაც შესთავაზა, სოხუმში გადასულიყო საცხოვრებლად და სიმფონიურ ორკესტრს ჩადგომოდა სათავეში. ამჯერად ვერავინ შეძლო მისი შეჩერება. მახსოვს, რა გახარებული გაემგზავრა აფხაზეთში. ერთი წლის შემდეგ მეც გადავედი სოხუმში.

— რომელი წელი იყო?

— 1935 წელი.

— როგორი იყო მაშინდელი სოხუმი?

— ქართული ქალაქი იყო, ქართველს ქართველობისთვის არ დევნიდნენ. პირიქით, კარგად იცოდნენ, რომ როგორც ერი, ქართველებმა მოიყვანეს დღემდე და თუკი რამ ღირსეული და ფასეული გააჩნდათ, ისევ ქართველების დამსახურება იყო. მარტო ჩემმა მეუღლემ უზარმაზარი შრომა და ძალისხმევა ჩასდო აფხაზეთის მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის. აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც თავის დროზე დიმიტრიადიმ დააარსა, ჩემმა მეუღლემ აღადგინა. პარალელურად საოპერო დადგმებზე მუშაობდა. 26 წელიწადი სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი იყო. ძალიან პრინციპული იყო, ძირითადად პეტერბურგიდან ჩამოსული პედაგოგებით დააკომპლექტა კოლექტივი. ჭეშმარიტი პროფესიონალები იყვნენ მარია ბუბნოვა, რაზუმოვსკაია, რეჩკოვა, რომლებმაც უამრავი ცნობილი მუსიკოს-შემსრულებელი აღზარდეს. მაგალითისთვის, ვფიქრობ, ზურაბ სოტკილავას დასახელებაც კმარა...

გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ სოხუმში მუსიკალური ცხოვრება ჩქეფდა.

ქ-ნი ლიდა კი ამ დროს უკვე დიდი ოჯახის დიასახლისი იყო. ზრდიდა მშვენიერ შვილებს, უვლიდა ოჯახს.

ულევი ენერგიის, დაუცხრომელი ოპტიმიზმისა და ღვთისგან მომადლებული ნიჭის წყალობით, სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე 20 სისხლსავსე წელი გაატარა, თითქმის სულ მთავარ როლებს ასრულებდა, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მნიშვნელობა არ აქვს, როლი დიდი არის თუ პატარა. მთავარია, როგორ შეასრულებ მას.

ეს მართლაც უბედნიერესი წლები იყო. და მაინც, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ერთხელაც ლიდას მეუღლემ ულტიმატუმი წაუყენა: ან თეატრი ან ოჯახი!

— ამას ნამდვილად არ მოველოდი. მართალი გითხრათ, მეწყინა, მაგრამ წყენა გულში დავმალე, საყვედურიც კი არ დამცდენია და არც დავფიქრებულვარ, ისე დავანებე თეატრს თავი. ჩემთვის ოჯახი წმიდათა წმიდაა! —თქვა ქ-ნმა ლიდამ.

მალე გორგაძეების მრავალრიცხოვან ოჯახს მშვენიერი მარინა შეეძინა და ქ-ნი ლიდას გულში დაფარული წყენა უკვალოდ გაქრა...

ქ-ნი ლიდა სამართლიანად ამაყობს თავისი შვილებით, რომლებმაც ჯერ სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრეს, შემდეგ კი — თბილისის კონსერვატორია. გადიოდა წლები. ქალიშვილები დათხოვდნენ, ვაჟები დაქორწინდნენ და გორგაძეების ოჯახი შვილიშვილებით აივსო. ყველაფერი კარგად აეწყო, დამაფიქრებლად კარგად...

— აფხაზეთში თითქმის ყოველ ათ წელიწადში დენთის სუნი დატრიალდებოდა. მთავრობა მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდოდა და დაძაბულობაც ჩაცხრებოდა. მაგრამ როცა დაიწყო, მართლა ჯოჯოხეთი დაიწყო. მაშინ ვიგრძენით, რომ ქართველები ვართ. ადრე უბატონოდ ხმას რომ არ გვცემდნენ, როგორც მოსისხლე მტრებს, ისე დაგვესივნენ!

ამჯერად, სხვა „ბრალდება“ წამოუყენა ბედისმწერალმა მრავლისმომსწრე ქალბატონს.

აფხაზეთში ღვთის რისხვა დატრიალდა. საქართველოში ქართველობისთვის დევნიდნენ, კლავდნენ, წვავდნენ, ცოცხლად მარხავდნენ...

მაინც მადლობას სწირავს ღმერთს ქ-ნი ლიდა, ყველანი ცოცხლები გადავრჩითო. ყველანი, ერთის გარდა...

— ერთი სიძე აფხაზი მყავდა. ისეთ გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, დღესაც არ ვიცით, რა მოხდა.

— გჯერათ, რომ აფხაზეთში დაბრუნდებით?

— მე ალბათ ვერ მოვესწრები, მაგრამ ჩემი შვილები აუცილებლად დაბრუნდებიან.

— გამოუსწორებელი ოპტიმისტი ხარ, დედა, — ეღიმება ქ-ნ მარინას, — მე თითქმის აღარ დამრჩა იმედი. რაც კი გვებადა, ყველაფერი აფხაზეთში დავტოვეთ, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი და-ძმის მონატრება მტანჯავს.

მე დედასთან ერთად თბილისში ვცხოვრობ, ოლგა ავსტრიაშია, ნელი — ბაქოში, თამარი — მოსკოვში, ალექსანდრეც — რუსეთშია, შოთა კი — საბერძნეთში, რომელიც ექვსი წელია არ გვინახავს.

— უნდა გავუძლოთ... საქართველო აუცილებლად დაიბრუნებს აფხაზეთს. ურთიერთობებიც ძნელად, მაგრამ მაინც აღდგება. ამას წინათ, ჩემთან დარეკვა ვერ გაბედეს და ჩემს ერთ-ერთ შვილს დაუკავშირდნენ სოხუმიდან, ენციკლოპედიისთვის ჩემი მეუღლის შესახებ მონაცემები სჭირდებოდათ. ასეა გენაცვალე, ისტორიას ვერ გადააკეთებენ. დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს...

საუბრის ბოლოს ქ-ნ ლიდას ჟურნალისათვის ფოტოები ვთხოვე და...

— უამრავი ფოტო მქონდა, მაგრამ ყველა იქ დარჩა. ალბათ დახიეს და დაწვეს. ერთი-ორი ფოტო ჩემი დის ალბომში აღმოვაჩინე. არც კი ვიცი, თუ გამოგადგებათ... არ მიყვარდა სურათის გადაღება. საშინლად გამოვდიოდი. საოცარია პირდაპირ. ცხოვრებაში არა მიშავდა, სცენაზე გრიმის გაკეთების შემდეგ ლამაზიც მეთქმოდა, მაგრამ ფოტოზე...

გულიანად იცინის ქ-ნი ლიდა, ექვსი შვილის დედა, თოთხმეტი შვილიშვილისა და ცხრა შვილთაშვილის ბებია. ქალი, რომელიც მართლაც ცეცხლში გამოიწრთო და, დღეს თავისივე სამშობლოში დევნილის სტატუსით ცხოვრობს.

მარინე ნაკაიძე

# ღვთისმშობლის საყოველთაო გამოცხადება



იესო ქრისტემ თავისი განკაცებით უდიდესი საიდუმლო გაგვიცხადა — სამყაროს შემოქმედი ქალის წიაღში განსხეულდა, უშობელმა წმიდა ქალწული თავის მშობლად აქცია და ყოველი ადამიანის დედობა უბოძა... მას შემდეგ დედაღვთისა მრავალ სასწაულს ალასრულებს — სნეულებს კურნავს, შეცოდებულთ სწორ გზაზე აყენებს, ურწმუნოებს რწმენით ალავსებს და ღვთისა მიმართ ადამიანთა მეოხია.

ერთ-ერთი უდიდესი სასწაული, რომელიც ღვთისმშობელს აღუსრულებია, არის წმიდა ქალწულის დიდი გამოცხადება კაიროში. ზეითუნის მთაზე — მართალმა იოსებმა ჩვილი იესო და დედამისი ანგელოზის მითითებით ეგვიპტეში რომ გაიყვანა, წმიდა ოჯახმა იმ ადგილას შეისვენა, სადაც მერე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აღმართეს... სწორედ ამ ტაძრის გუმბათზე, 1968 წლის 2 აპრილის გარიჟრაჟზე გაბრწყინდა ღვთისმშობელი მთელი თავისი ღვთაებრივი დიდებულებით. ეს სასწაული მეორდებოდა თვეების მანძილზე, შუაღამის სამი საათიდან გამთენიის ექვს საათამდე. დედოფალთ დედოფლის უწმიდესი სხეული თვალისმომჭრელ ნათელს გამოსცემდა და განაბრწყინვებდა ირგვლივ ყოველივეს. ზოგჯერ გუმბათის თავზე არამიწიერი ელვარებით გამოკაშკაშდებოდა ხოლმე ტოლფერდა ჯვარი, ზოგჯერაც ტაძრის ირგვლივ საკმევლის სურნელით გაჟღენთილი ქათქათა ღრუბლები ადიოდა ზეცად.

ღვთისმშობლის გამოცხადება სხვადასხვა სახით ვლინდებოდა, — მისი ტანწერწეტი სხეული ზოგჯერ ადამიანის პროპორციებში თავსდებოდა, ზოგჯერ კი რამდენადმე აღემატებოდა ჩვეულებრივ ზომებს. ამ დროს ყოვლადწმიდა დედოფალი ზეციდან დასცქეროდა ტაძარს და ირგვლივ სინათლის ჩანჩქერებს აფრქვევდა... ზოგჯერ წმიდა ქალწული, ტაძრის სამხრეთით, ხეების კენწეროებზე ჩნდებოდა, ხელთ ეპყრა ახალშობილი იესო, თავზე კი ღვთაებრივი გვირგვინი უბრწყინავდა. მისი სამოსი მოძრაობისას ტალღისებურად ირხეოდა და ნათელს გამოსცემდა. ზოგჯერ ღვთისმშობლის ირგვლივ ანგელოზებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ზოგჯერ — ვარსკვლავები და მტრედები. ზეციური დედოფალი ხან ტაძრის სარკმლიდან ამოდიოდა, ხან გუმბათზევე ისახებოდა და მერე ნარნარად მიმოდიოდა, — ხან ქედს იხრიდა აღმართული ჯვრის წინაშე და პირჯვარს იწერდა, მერე კი ტაძრის ირგვლივ მოჯარულ ხალხს ლოცავდა. ამ დროს თვით ჯვარიც მზესავით ელვარებდა, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჭვირვალე მასალისაგან იყო დამზადებული. ზოგჯერ ღვთისმშობელს ხელში პალმის ან ზეთისხილის რტო ეკავა და მის ფეხებთან პატარა ბავშვი დაცუცუნებდა...

ამ სასწაულის ირგვლივ მთელი მსოფლიოს სააგენტოები ლაპარაკობდნენ, ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა კაიროში, რათა საკუთარი თვალით ეხილა ზეციური დედოფალი და მისგან შემწეობა მიეღო — ღვთისმშობელი ყველას ეხმარეობდა განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა. მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სახელმწიფო დედამიწის ზურგზე, სადაც ამ ფაქტის ირგვლივ სიტყვაც არავის დასცდენია.

რამდენიმე წლის წინ ხელში ჩამივარდა კაიროდან ჩამოტანილი ბროშურა, საიდანაც გადმოვბეჭდე ერთი ამაღლებული ეპიზოდი, რომელიც ალექსანდრიელ დედა-შვილს შეემთხვა; როგორც აღვნიშნეთ, ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დაიძრა ზეითუნის მთისკენ; კაიროს ირგვლივ, მატარებლებში დიდი ჩოჩქოლი ატყდა, — მგზავრები წინა ვაგონებში გადადიოდნენ, რათა პირველები მისულიყვნენ გამოცხადების ადგილზე. ერთხელაც, ალექსანდრიის მატარებელი დედაქალაქს რომ მიუახლოვდა, ორომტრიალში ვაგონებს შორის ჩავარდა 12 წლის ბიჭუნა. დედამისს გული წაუვიდა... გონსმოსულმა სალსალამათი შვილის დანახვაზე მეორედ დაკარგა გონი, — ბიჭუნა კი ყვებოდა: როცა ჩავვარდი, ჩემთან გაჩნდა მზესავით ნათელი სახის ქალბატონი თეთრი სამოსით, — თავზე ხელი დამადო და მითხრა: „ნუ გეშინია, მე დედა ვარ შენი, მე ღვთისმშობელი ვარ!“ როდესაც ბოლო ვაგონმა გადაიარა, ქალი გაქრა, მაგრამ მისი ხელის სითბო და სახის მშვენება არასოდეს დამავიწყდებაო. ფოტორეპორტიორებმა მაშინვე გადაუღეს ბიჭს სურათი, რომლის ზურგზე რელსების ნაკვალევი ჯვარის სახედ აღბეჭდილიყო.

გამოცხადების მხილველთა ნაამბობი იმდენად შთამბეჭდავია, რომ ჭირს ერთმანეთისაგან გამოცალკევება, და მაინც, კიდევ ერთი სკეპტიკოსი ქირურგის მონათხრობი უნდა გამოვარჩიო, რომელსაც თიაქარი აწუხებდა, მაგრამ ოპერაციას ვერ იკეთებდა, რადგან დიაბეტითაც იყო დაავადებული. იგი მეგობრის დაჟინებული რჩევით გაემართა ზეითუნის მთისკენ, თუმცა განკურნების იმედი არ ჰქონდა. რამდენიმე ღამე ელოდა გამოცხადებას და ბოლოს, როცა ღვთისმშობელი იხილა ტაძრის გუმბათზე, ისე გაოგნდა, სულ გადაავიწყდა, რა უნდა ეთხოვა. ხილვა როცა დასრულდა, მაშინღა მოისვა ხელი მტკივნეულ ადგილზე და მისდა გასაოცრად, აღარაფერი შეინიშნებოდა. საკუთარ თავს არ დაუჯერა, მაშინვე უახლოეს კლინიკას მიაშურა, სადაც დაუდგინეს, რომ აღარც დიაბეტი ჰქონდა და აღარც თიაქარი.

...თვითმხილველები ნანახს და განცდილს ისე შთამბეჭდავად გადმოსცემენ, ისე ბუნებრივად ყვებიან ამ არაჩვეულებრივ მოვლენაზე, რომ თითქოს ჩვენც ვხედავთ ზეციური დედოფლის ღვთივგაბრწყინებულ სახეს, თითქოს ჩვენც გვესმის მისი კაბის კალთის შრიალი და, მაინც, ზოგიერთები იმდენად კადნიერდებიან, პირადად მოითხოვენ უფლის გამოცხადებას — პირადად მოელიან სასწაულებს მაშინ, როცა მაცხოვარი ბრძანებს: ნეტარია ის, ვისაც არ ვუნახივარ და ვწამვარ, ნეტარნი არიან, ვინც მოისმენენ და დაიცავენ ღვთის სიტყვას!

**ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილმა**

# ღმერთთან მიახლოების სურვილი



საქართველო მდიდარია ტალანტებით. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ეს ტალანტები ხალხის წიაღშია აღმოცენებული. არაერთხელ ვყოფილვართ მომსწრე თვითნასწავლი, თვითნაბადი მხატვრების უაღრესად საინტერესო გამოფენებისა, რომელთა ექსპონატები პროფესიონალ მხატვართა და ხელოვნებისმცოდნეთა დიდ მოწონებას, ხშირად აღფრთოვანებასაც იწვევდა.

ერთი მათგანია ქ-ნი ირინე ლეკიშვილი-სომხიშვილი, რომელიც ორიოდ წლიწადში ოთხოცი წლის იუბილეს იზეიმებს.

ირინე პროფესიით მედიცინის მუშაკია — ექთანი და მთელი ცხოვრება ბავშვების ჯანმრთელობას ემსახურება.

ყმაწვილქალობისას გაუჩნდა დაუძლეველი სურვილი - ეხატა, მაგრამ ცხოვრება იშვიათად აძლევდა ამის საშუალებას. სამ ვაჟიშვილსა და ავადმყოფ მეუღლეს მიჰქონდა მთელი მისი დრო და ენერგია და მაინც... ერთხელ რომ აიღო ხელში ფუნჯი, მერე აღარ გაუშვა.

ირინე ლეკიშვილი-სომხიშვილი 1982 წლიდან გახდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებითი სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის წევრი. მონაწილეობა აქვს მიღებული ხალხური შემოქმედების წარმომადგენელთა საერთო გამოფენებში, მოწყობილი აქვს თავისი პერსონალური გამოფენებიც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 1987 წლის 9 მარტს გაიხსნა მისი პირველი პერსონალური გამოფენა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში. ამავე დროს მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ხალხური მხატვრული შემოქმედების საკავშირო II ფესტივალში, სადაც მიენიჭა ლაურეატის წოდება და ვერცხლის მედალი. 1989 წელს მისი ნამუშევრები გამოიფინა ამერიკაში, ორჯერ — შვეიცარიაში. მონაწილეობდა ეროვნულ გალერეაში მოწყობილ მოყვარულ, თვითნასწავლ მხატვართა და ხალხურ ოსტატთა გამოფენებში, მიღებული აქვს უამრავი სიგელი, დიპლომი და მედალი. 1998 წლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

თვითნასწავლი მხატვარი ირინე ლეკიშვილი „ნაივური“ ხელოვნების წარმომადგენელია. საკუთარი ინდივიდუალური ხედვით, განწყობით და ემოციური დატვირთვით, ეროვნული სულისკვეთებით ქმნის თავის ნამუშევრებს. მათში არ არის გამოყენებული კლასიკური მხატვრული ხერხები, სამაგიეროდ იმდენად ძლიერია მნახველზე ემოციური ზემოქმედება და მათგან გამოსული დადებითი ენერგია, რომ მნახველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მხატვარს უნდა უფრო მსუბუქი და იოლი, ლამაზი გახადოს ყველა ადამიანის მიწიერი არსებობა. მისი შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანია — პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები, თემატური სიუჟეტები. მის ნამუშევრებში ყოველი ადამიანი ცალკე სამყაროა, ყოველი კუთხე-ქართული ბუნება. საქართველოს უნიკალური, მშვენიერი სამყარო. თავის ნახატებში მხატვარი ამჟღავნებს ღმერთთან მიახლოების სურვილს და ხდის მას განუმეორებელსა და თვითმყოფადს.

ეთერ ციციშვილი



● „ქვათახევი“

ირინე ლეკიშვილი — სომხიშვილის ნამუშევრები



● ჭორიკანა



● მინდვრის ყვავილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩემი გერმანელი ქმარი შეყვარებულია საქართველოზე“

პატიოსნებით გამორჩეული, უპრეტენზიო, ზედმიწევნით თავმდაბალი ადამიანი იყო „საქავტოგზის“ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ტარიელ მდივნიშვილი. სამაგალითო ოჯახის პატრონი. ზეპირად იცოდა საქართველოს გზებისა და ხიდების ავანჩავანი, კილომეტრებით ჰქონდა გათვლილი სად იყო ორმო, დაზიანება შესაკეთებელი. ზავსაშიშროებისას კარგად მახსოვს სამხედრო გზაზე მდგარი, ე. წ. ცხელი წერტილიდან ტელევიზიით როგორ გვაწვდიდა ინფორმაციას.

იშვიათად ხდებოდა, რომ თანამდებობის პირებს შვილები სამხედრო სამსახურისათვის გაემეტებინოს. ტარიელმა ცხრამეტი წლის ვაჟიშვილი, პირველი კურსის სტუდენტი უყოყმანოდ გაუშვა ჯარში. მანქანის კატასტროფამ იმსხვერპლა ბიჭი. ლამის თავზე ჩამოექცათ ჭერი, არავის ეგონა, ეს ოჯახი თუ კიდევ დადგებოდა ფეხზე. დედა სულ ჩაითრია დარდმა, თხუთმეტ დღეში მთლად გაჭაღარავდა. მშობლებისათვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

ამ ტრაგედიის გამო ბავშვობაჩამწარებული სოფო მაშინ ცამეტი წლის იყო. გოგონას ხათრით მშობლები სიცოცხლისაკენ შემობრუნდნენ. მამის შთაგონებითა და რჩევით სოფომ შეისწავლა გერმანული, თამაშობდა ჩოგბურთს, დადიოდა თხილამურებზე, ფიგურულ სრიალზე. ცხრამეტი წლისა სრულიად დამოუკიდებელი, მშობლებისაგან შეუზღუდავი იყო. მშობლების მთელი სიყვარული სოფოზე იყო კონცენტრირებული.

მოულოდნელი რამ მოხდა.

სოფო მდივნიშვილი გრიზე გახდა, უცხოტომელზე დაქორწინდა. დღეს იგი გოეთეს ინსტიტუტის ადმინისტრაციის მართვის სამსახურის უფროსია, რომელიც მიუნხენის ინსტიტუტის ფილიალია თბილისში. როცა დირექტორი, ქალბატონი პეტერ ჰეშელე ჰაინლე უცხო ენების ინსტიტუტის რექტორთან იური მოსიძესთან გერმანულის კარგი სპეციალისტის საძებნელად მივიდა, სოფო წარუდგინეს.



სოფო შვილებთან



სოფო, კარსტენი და გილდა



დედა-შვილი გერდა და კარსტენი პატარა ანა-სოფიათი

ტარიელ მდივნიშვილს სამსახურში თარჯიმანი დასჭირდა და ქალიშვილი წაიყვანა. მაშინ გაიცნო სამინისტროში სამუშაოდ მივლინებული საგზაო ინჟინერი გერმანელი კარსტენ გრიზე. ორი წელი კარსტენი სოფოზე იყო შეყვარებული. სოფო ყოყმანობდა, არც დედას უნდოდა მაინცა და მაინც უცხოტომელი სიძე. როცა ოჯახი უმამაკაცოდ დარჩა, (ხუთი წლის წინ ტარიელს გულმა უმტყუნა), სოფომ გადაწყვეტილება მიიღო და არ ნანობს, ბედნიერია არჩევანით, ფირმა „კოქსი“ მსოფლიო ბანკისაგან ფინანსდება, გზების მშენებლობაზე მუშაობს. ამ ფირმის კოორდინატორი ამიერკავკასიის მასშტაბით გზების დარგში კარსტენია. იგი ზედმიწევნით სასურველი სიძე გამოდგა. სარწმუნოებით კათოლიკე, ვიდრე ჯვარს დაიწერდნენ, მართლმადიდებლად მოინათლა (სოფო კისკისებს, ამას კი ნამდვილად არაფრის გულისთვის არ გავაკეთებდიო) და ოთხი წლის წინ სამების ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს. მისი დიდი ბაბუა ქალაქ კიოლნში მონასტრის ეზოშია დაკრძალული, ბიშოფი ანუ კათოლიკოს-პატრიარქი ყოფილა. კარსტენის დედა მიუნსტერში ცხოვრობს, საგადასახადო სამსახურის საფინანსო განყოფილების უფროსია, ეროვნებით იტალიელი – გერდა მოხიბლულია ქართველი რძლით. ბუნებით კომინიკაბელური, ქველმოქმედი პიროვნებაა. მიუნსტერში აქვთ სამსართულიანი კეთილმოწყობილი ბინა. ქალბატონი გერდა ტემპერამენტით ქართველს ჰგავს. წელს მეხუთედ ჩამოდის საქართველოში, მოხიბლულია ჩვენი ისტორიით, ადათ-წესებით, სოფო მოღიმარი, სიცოცხლით სავსე პიროვნებაა, არ ღალატობს იუმორის გრძნობა, მიამბობს, თუ როგორი კეთილმოსურნე ურთიერთობა აქვთ მძახლებს გერდას და გილდას. გვიან ღამემდე სხედან, მიირთმევენ ლიქიორს, უყურებენ მრავალსერიან ფილმებს და სულაც არ ზღუდავთ ენის ბარიერი.

სოფო ორი შვილის დედაა – ძმის მოსახელე სამი წლის დევი და წლინახევრის ანა-სოფია ჰყავს. ბავშვებს ქართული, გერმანული, იტალიური და ფრანგული (მეორე ბებია მამის მხრიდან ფრანგია) სისხლი აქვთ. ქართულად იწყებენ ლაპარაკს. სოფო გერმანიის ხშირი სტუმარია, საბოლოოდ კი არ ფიქრობს სამშობლოს, მამისა და ძმის საფლავების დატოვებას, ვერც დედის დაშორებას შეეგუება.

***– სოფო, როგორია გყავდეს მეუღლე უცხოელი?***

– სულაც არ ვფიქრობ, რომ კარსტენი გერმანელია. გერმანია ლამის ჩემი მეორე სამშობლოა, ჩემი შვილები გერმანიის მოქალაქეები არიან. იმდენი რამ ვიცი ამ ქვეყნის შესახებ, მეუღლე და დედამთილი გაკვირვებული არიან. ჩემი მეუღლე ყველაფერს აკეთებს, რომ გვასიამოვნოს, ლამისაა გადაქართველდეს. საშინლად ვერ იტანს ზარმაცს, უსაქმურს. შრომას არანაირს თაკილობს, ჩვენში არის გამოთქმა „ნემეცკი შჩოტი“, რაც სულ არ შეეფერება ჩემი მეუღლის ხასიათს. როცა რესტორანში ან კაფეში ვართ მეგობრებთან, კარსტენი ჩუმად გაიპარება, გადაიხდის ფულს, ქართველებს განსაკუთრებით უჭირთ დღესო. ან როცა ახლობელთან მივდივართ (მამამ ასე იცოდა, ტრადიციას არ ვღალატობთ) სანოვაგით დატვირთულნი უკვირს, არ სჯობს ფული მივუტანოთ. იქნებ რა სჭირდებათ. გერმანელებს თავსმოხვეული, იძულებითი არაფერი სწამთ. ზომიერი, გაწონასწორებული მამაა, მე უფრო მეფერება, ვიდრე შვილებს. განსაკუთრებულია სიძე-სიდედრის ურთიერთობა. პატივისცემითა და მორიდებით ეპყრობა, ჩვენს შვილებს ძიძა და დედაჩემი ზრდის, ამიტომ დიდი ხმის უფლებით ოჯახში ის უნდა სარგებლობდესო, ჩვენ რომ გვასიამოვნოს, ქართულსაც სწავლობს.

...გოეთეს ინსტიტუტი სასიკეთო ღონისძიებებს აწყობს ქართული კულტურის საზღვარგარეთ გასატანად. ეწყობა გამოფენები, კადრების მომზადება-გადამზადება. ჩვენი გერმანელი დირექტორი ილზე ჰაინლე მოხიბლულია საქართველოთი, ამბობს, ჩვენი საპროპაგანდო ამ ერს არაფერი სჭირს. თუმცა ამ ეტაპზე განათლების საქმეში ხელშეწყობა მაინც უნდათო.

... ჩემი დედამთილი საქართველოდან ვიდეოკასეტებით, ბუკლეტებით, თბილისის ხედებით აღჭურვილი მიდის, მოხიბლულია ქართული ფოლკლორით, ბოდიშობს, რომ ქართული რიგიანად ვერ ისწავლა.

საახალწლოდ ინსტიტუტში ქართული ხალხური სიმღერების საღამო მოეწყო, კარსტენიც მოვიწვიეთ. ისეთი პიროვნებაა, თავი ყველგან ღირსეულად უჭირავს, ისეთი აურა აქვს ირგვლივ მყოფთ სიკეთით განაწყობს, ახლახან ორმოცი წელი შეუსრულდა, თუმცა ისე გამოიყურება, გაგიჭირდებათ მისი ასაკის დადგენა, ჩვენი ალალი შრომით კეთილმოწყობილი ბინაც შევიძინეთ.

...თითქოს ბედს არ ვემდური, არაფერი მაკლია, ჩემი ასაკის ქალს მეტი რა სიკეთე შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ სრულყოფილ ბედნიერად ვერ ვთვლი თავს, მამა, ძმა რომ აღარ მყვანან, მამამ არაფერი დამაკლო, გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე გერმანიაში წამიყვანა, საჩუქრად ავტომანქანა მიყიდა, უნდოდა ჩემი გემოვნებით შემერჩია.

მალე ალბათ სადოქტორო დისერტაციას დავიცავ. შვილებიც დაიზრდებიან, ბავშვობის და ყმაწვილქალობის სევდას კი მაინც ვერაფერი შემივსებს!

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერი პოპინსი რუსთაველზე ცხოვრობს



ირმა კეცხოველი

თბილისის ცენტრში ერთ ჩვეულებრივ ეზოში არაჩვეულებრივი ქალბატონი, პატარების მეგობარი და ნამდვილი მფარველი ანგელოზი ირმა კეცხოველი ცხოვრობს, რომელსაც, როგორც თავად უყვარს ხოლმე თქმა, შეფობა აქვს აღებული ეზოს ბავშვებზე და ისინიც საკუთარი პრობლემებით, სატკივარითა თუ სიხარულით ნებისმიერ დროს მიდიან მის პატარა მყუდრო



„ეზოს“ ბავშვებთან

ბინაში: ზოგს გაკვეთილების მომზადებაში სჭირდება დახმარება, ზოგს ხატვა მოსურვებია, ზოგს უბრალოდ მსმენელი არა ჰყავს და ირმუშკაზე (ასე უწოდებენ) უკეთეს მრჩეველსა და მსმენელს ვერსად ნახავს. ჰოდა, ენციკლოპედიური განათლების მქონე ქალბატონიც (პროფესიით ეთნოლოგ-ისტორიკოსი გახლავთ, შესანიშნავად ხატავს, ძერწავს, ზედმიწევნითაა ჩახედული კინოს სამყაროში და მშვენიერ ლექსებსაც წერს ქართულ და რუსულ ენებზე) გულმოდგინედ ეხმარება თითოეულ მათგანს, საინტერესო თემებზე ესაუბრება, აზიარებს ქართული პოეზიის მადლს და ხატოვნად აცოცხლებს ქვეყნის ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს, უფრო პატარებისთვის კი, მატერიალური შეჭირვების მიუხედავად, ფერადი ფანქრები და სახატავი ფურცლებიც მოეძევება და გემრიელი სასუსნავიც აქვს გადანახული.

ყველაფერი კი ამ ექვსი წლის წინ დაიწყო, როცა მშობლების გარდაცვლების შემდეგ ირმა საცხოვრებლად საბურთალოდან რუსთაველის 18-ში იტალიურ ეზოში გადავიდა. ადრე კორპუსებში მცხოვრები ქალის გამოცდილმა თვალმა მაშინვე შეამჩნია უსაქმოდ მოხეტიალე პატარები, რომლებიც ხშირ-ხშირად მიიწევდნენ ეზოს გარეთ და გადაწყვიტა, როგორმე აერიდებინა მათთვის ის საფრთხე, რასაც დღევანდელი ქუჩა ჰქვია. დაახლოება იოლი არ ყოფილა — ბავშვები შეფარვითა და დიდი სიფრთხილით (ალბათ მშობლების გაფრთხილება ახსოვდათ, უცნობებს ერიდეთო) აკვირდებოდნენ ახალ მეზობელს — ლამაზ დეიდას, რომელიც ღიმილითა და ტკბილეულით ცდილობდა მათთან დამეგობრებას. ყინული საბოლოოდ მაშინ გალღვა, როცა ირმამ საახალწლოდ ეზოში ნაძვის ხე დადგა, ზედ თავისივე ხელით დამზადებული სათამაშოები ჩამოკიდა და ეზოს პატარები ზეიმზე მიიწვია. მას შემდეგ, ყოველ ახალ წელს, ამ ეზოს სათამაშოებით დახუნძლული ნაძვის ხე და ირმას ხელით ლამაზად მოხატული უზარმაზარი ტილო ამშვენებს და რუსთაველზე მცხოვრები ბავშვებიც (ქართველმა მერი პოპინსმა სხვა ეზოებში მცხოვრები პატარებიც შემოიკრიბა) ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ.

— ჩემი მიზანი, ცხოვრების აზრი ბავშვებზე ზრუნვაა, — ამბობს ირმა კეცხოველი — ჩვენს დუხჭირ ყოველდღიურობაში პატარებს სითბო და დახმარება სჭირდებათ, რათა სწორი უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბდეთ და თუ ჩვენგან, უფროსებისგან ცოტაოდენ ყურადღებას მაინც იგრძნობენ, მერწმუნეთ, მომავალში ნამდვილ მამულიშვილებად აღიზრდებიან.

ირმას დაუღალავი მცდელობითა და ძალისხმევით (რკინის ქალამნები ჩაიცვა და ზემდგომი ორგანოების ყურადღება მაინც მიიპყრო) პატარები უფასოდ ისვენებენ ბორჯომში, დადიან საახალწლო ნაძვის ხის ზეიმებზე, სპექტაკლებზე. ეზოში თავადაც აწყობენ ნახატების გამოფენას, კარნავალებსა და კონცერტებს, რომლებსაც საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები —მეცნიერები, მხატვრები, მსახიობებიც ესწრებიან. საზოგადოება „ეზომ“ მოსახლეობის ფართო ფენების ყურადღებაც მიიქცია — ბავშვთა ფედერაცია ყოველწლიურად უგზავნის პრეზიდენტის ნაძვის ხის ბილეთებს, ოპერის თეატრის დირექტორი ზურაბ ლომიძე უსასყიდლოდ აძლევს კოსტუმებს, რუსთაველის 24-ში მდებარე „კოდაკის“ მფლობელები თენგიზ და ისაკ ქოსაშვილებიც უფასოდ უბეჭდავენ ფირებს. რაიონის გამგეობისა და ფირმა „ყაზბეგის“ მეშვეობით ბავშვებმა ექსკურსია მოაწყვეს თბილისის შემოგარენში, გემით ისეირნეს მტკვარზე, დაესწრნენ ვერის ბაღში გამართულ საბავშვო კონცერტს, სამომავლოდ კი მცხეთის კულტურულ-ისტორიული ძეგლების მონახულებასაც აპირებენ.

— ყველაფერს უანგაროდ ვაკეთებ და მადლობასაც არავისგან ვითხოვ. უბრალოდ, მინდა ჩემი შესაძლებლობები და ცოდნა პატარებს მოვახმარო. ეს ჩემი სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილებაა, — ამბობს ადამიანი, რომელმაც თავად ვერ მოახერხა ოჯახის შექმნა.

ქველმოქმედ ქალბატონს ერთი დიდი ჩანაფიქრი აქვს, რომლის განხორციელებასაც მხოლოდ თავისი შესაძლებლობებით, სამწუხაროდ, ვერ მოახერხებს — რუსთაველის და მის ახლომახლო ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისათვის ინტელექტკლუბის შექმნა სურს, სადაც პატარები უსასყიდლოდ შეისწავლიან კომპიუტერს, უცხო ენებს, ხატვას, ქარგვას და საინტერესოდ, შინაარსიანად გაატარებენ თავისუფალ დროს.

— დღევანდელ პირობებში ყველა ოჯახს არ შეუძლია ბავშვებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ყურადღების დათმობა. არადა, ჩვენი პატარები ახლა იმ ასაკში არიან, სულ იოლად შეიძლება გზიდან გადაცდნენ. დასაქმებულ ბავშვებს კი მავნე ჩვევებისადმი ინტერესი აღარ გაუჩნდებათ.

ამ კეთილშობილურ იდეას უამრავი მხარდამჭერი ჰყავს საზოგადოების სხვადასხვა ფენაში და პირველ რიგში. მოზარდთა მშობლების სახით, რომლებმაც წერილობითი თხოვნითაც კი მიმართეს მერიას და დღეს იმედით ელიან დადებით პასუხს, ამასობაში კი ირმამ უკვე გაამზადა ინტელექტუალური მოძრაობის პროექტი სახელწოდებით „ეზო“, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ მოიძებნება და, რომლითაც უკვე დაინტერესდნენ საზღვარგარეთის, განსაკუთრებით კი რუსეთის გარკვეულ წრეებში, სადაც კიდევ უფრო მეტი სიმწვავით დგას ეზოს ბავშვების პრობლემა.

ირმას და მის აღსაზრდელებს დიდი იმედი აქვთ უცხოელი მეგობრების თანადგომისა, მაგრამ ვიდრე ჩვენს პატარებს საზღვარგარეთელი დეიდები და ბიძიები გაუწვდიან დახმარების ხელს, იქნებ ქართველ ბიზნესმენებსაც ეზრუნათ ერის მომავალზე, მით უმეტეს, რომ შეუძლებელი და უსაშველო ამაში არაფერია?

ამ ცივ, გაუსაძლისსა და უსულგულო ყოფაში ალბათ ბევრისთვის გაუგებარი დარჩება, რატომ უნდა იწუხებდეს ადამიანი სხვისი შვილებისთვის თავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ქ-ნი ირმა დიდი ნიკო კეცხოველის ძმისშვილი გახლავთ, ახალგაზრდებთან ბ-ნი ნიკოს ურთიერთობაზე კი დღესაც ლეგენდები დადის, გასაოცარი აღარაფერი იქნება.

ჩვენც ღრმად გვწამს, რომ ირმა ღირსეულად გააგრძელებს თავისი სახელოვანი წინაპრის ტრადიციას და არაერთ პატარას იხსნის იმ შესაძლო ხიფათისაგან, ქუჩა რომ ჰქვია.

მანანა იმესაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც ძალზე დიდია და ზეციურს ერთვის




*„დიდი მხატვრის ულამაზესი გამოფენა" ასე დაასათაურა თავისი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში მწერალმა ვახტანგ ახვლედიანმა გუდიაშვილის სახელობის მხატვრის სახლში გახსნილ ჩემი მეუღლის რენო თურქიას ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე. გამოფენა ბათუმის მერიის, აჭარის მხატვართა კავშირისა და ლადო გუდიაშვილის სახელობის მხატვრის სახლის თანადგომით მოეწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის, ხელოვნების ჭეშმარიტი მოტრფიალის, დიდი ქომაგის და უბადლო მზრუნველის, ბატონი ასლან აბაშიძის მოწადინებით და ხელშეწყობით.*



ბატონი ასლან აბაშიძე და ქალბატონი ესმა გომელაური საგამოფენო დარბაზში

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ ვახტანგ ახვლედიანს, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს: „ბათუმი ქართული კულტურის მექაა. დიდი მუსიკოსები, მხატვრები, მომღერლები, მწერლები აქ მართავენ თავიანთ შეხვედრებს, გამოფენებს, კონცერტებს, ლიტერატურულ საღამოებს" და დასძენს: „დღეს დიდი ქართველი მხატვრის, რენო თურქიას გამოფენა შედგა. მნახველები აღტაცებული, გაბრწყინებული თვალებით უცქერდნენ შემოქმედის ნამუშევრებს"...

„...ღრმა და ამოუწურავი შესაძლებლობების მატარებელი თითოეული შტრიხი, დამუხტული ძლიერი ემოციებით, სავსე ნიჭითა და ინტელექტით, მთლიანად გიპყრობს და გავსებს ახალი ძალით და გმუხტავს მხოლოდ დადებითი განწყობით..." – წერს მხატვარი მზია ხალვაში.

„...ვუყურებ გულით ნახატებს და ერთადერთი, რაც თავში მომდის: რენო თურქია მხატვარია, რომელიც ბანაობდა ფერებში და საკმაოდ დიდი მანძილების გადაცურვა შეეძლო..." – პაატა მოისწრაფიშვილი, მხატვარი. (აქ მახსენდება ქ-ნი ალდე კაკაბაძის სიტყვები: „რენო სათუთი სულისთქმაა და ფერთა ღვართქაფი").

„...ახლოდან ვერ აღვიქვამთ მას, რაც ძალზე დიდია და ზეციურს ერთვის. საჭიროა დისტანცია, დრო, ახალი ცნობიერების მქონე ხელოვნებათმცოდნეთა თაობა, რათა ახსნან რენოს მაგიური ფერწერის საიდუმლო და გასაგებად გადმოსცეს ის, რასაც ჩვენ, უბრალო მოკვდავნი ამჟამად მხოლოდ ქვეცნობიერებით შევიგრძნობთ..." – აღნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტარი. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, ავტორი შესანიშნავი წიგნისა „საიდუმლოს გასაღები" ბ-ნი ნუგზარ წულუკიძე.

ბ-ნი გოგი ოჩიაურის (საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის სახელით), ბ-ნი ნოდარ ანდღულაძის, იაკობ ბობოხიძის, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელით ქალბატონის ქეთინო ტომარაძისა და მანანა კორძაიას მოსალოც დეპეშებში ხაზგასმით იყო გამოხატული აზრი, რომ რენო თურქია რჩეულია რჩეულთა შორის, ასევე გამოთქმული იყო სიხარული და კმაყოფილება ხელოვანის დიდი აღიარებისა და პოპულარიზაციისათვის და მადლიერება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ბატონ ასლან აბაშიძისადმი ასეთი გულისხმიერებისათვის. ბათუმში მოწყობილი ეს გამოფენა შეფასდა როგორც ეროვნული მნიშვნელობის საქმე და არაჩვეულებრივი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში..

ასეთივე აზრს გამოხატავდა გამოფენის ყველა ორგანიზატორი და სტუმარი.

საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით შეკრებილთ მიესალმა განათლების დეპარტამენტის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე ლია ბუაძე.

გაზეთ „აღორძინების" რედაქტორმა ნუგზარ ჯაფარიძემ კი ამ გამოფენას „დღესასწაულის დასაწყისი" უწოდა.

მე მსურს განსაკუთრებული მოწიწებით გამოვხატო უდიდესი მადლიერება ბატონი ასლან აბაშიძისადმი და ქალბატონი მაგული გოგიტიძე-აბაშიძისადმი ამ მართლაც დიდი, ლამაზი დღესასწაულისათვის.

უსაზღვროდ მადლიერი ვარ ბათუმის მერიის, პირადად ბატონი გიორგი აბაშიძის, ბატონი ჯამბულ ნინიძის, აჭარის უზენაესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, მხატვართა კავშირის და მხატვრის სახლის წარმომადგენლების, ვინც ასე სათუთად, უშურველად და დიდი სიყვარულით მოამზადა ეს გამოფენა. დიდი მადლობა ქ-ნ ჩიტო ომერაძეს, ბ-ნებს ზაზა მარუაშვილს, ერმილე მესხიას, სარდიონ თავაძეს, დათო დიასამიძეს, ზაურ წულაძეს, ქ-ნ ინგა დიასამიძეს.

*ამ საქმეში დიდი დახმარება და თანადგომა აღმოგვიჩინა ქ-ნმა ქეთევან ტომარაძემ*

ჩემი გულითადი პატივისცემა და მადლიერება მინდა გამოვხატო ცენტრალურ ხელისუფლებასთან აჭარის წარმომადგენლობის, პირადად ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილის და გოგა დარასელიასადმი, რომელთა მონდომებისა და მზრუნველობის გარეშე ეს გამოფენა ვერ შედგებოდა.

ნიშანდობლივია, რომ კულტურისა და ხელოვნების, საერთოდ მრავალი საერთო-ქართული საქმის მეცენატად და შემწედ სწორედ აჭარა გვევლინება თავისი წარმომადგენლობის მოწადინებითა და გულისხმიერებით.

სწორედ აქ, ბატონ ჰამლეტთან ერთად, იკვეთებოდა და ისხამდა ფრთებს ბათუმში რენო თურქიას ნამუშევართა ასეთი მასშტაბის გამოფენის მოწყობის იდეა, რომელიც პირველად ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა, ჩემი და რენოს გულშემატკივარმა ქ-ნმა ნარგიზა მგელაძემ მომაწოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ დღეს სწორედ ბ-ნი ასლან აბაშიძე არის ის პიროვნება, რომელიც დაინტერესდებოდა. და ხორცს შეასხამდა ამ იდეას, რაც დაკავშირებული იყო იმ რაოდენობის თანხებთან, რომლებზეც მე ოცნებაც არ შემეძლო.

მადლობას მოვახსენებ ჩემსა და რენოს მეგობრებს, რენოს ხელოვნების თაყვანისმცემლებსა და გულშემატკივრებს, ბათუმის საზოგადოებას, რომელმაც დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღო რენოს შემოქმედება.

რენოს ეს შეხვედრა ბათუმთან, რომელიც ყოველთვის ძალიან ხიბლავდა და უყვარდა, დარჩება როგორც ძალიან მნიშვნელოვანი, ამაღელვებელი, შეუდარებელი და ძვირფასი მოვლენა.

ღრმად მჯერა, რენოც თავის მარადიულ სამყოფელში იგივე გრძნობებით არის აღსავსე...

ესმა გომელაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მრელაშვილი

# ჩობაიები

**1.**

შეთვრნენ თუარა, ამიხირდნენ, გახდა სადავო:
„რატომ არა სვამ? – შენს წინ ღვინო იქცა ძმრადაო!"
ვით გავუმხელდი, შენი ლექსის ტკბილი ბადაგით
ხომ უკვე მთვრალი გადვეფარე მათ სუფრას, დაო!..

**2.**

როცა დალეწეს კომუნისტთა დიდი ტაძარი,
ჩვენ ნანგრევები ცეცხლს მივეცით, – დარჩა ნაცარი.
ახალი არ ჩანს, ძველიც გაქრა, ახლაღა მივხვდი, –
დედა მოვკალით და დავისვით დედინაცვალი.

**3.**

როდესაც ვხედავ მორონინეთ, ვარდის წყლით ნაბანთ,
ქუჩაში ქალებს – აუჭრიათ ჭიპამდე კაბა,
წუხილი მიპყრობს, მეყინება ძარღვებში სისხლი, –
სად მიეფარა ქართველობა, შავ მიწის საბანს?

**4.**

რამდენი თავი დადის ქვეყნად დაუდაფნავი,
რამდენ უგუნურს სწყალობს ბედი – გულის მთაფლავი?–
ღმერთო, შეგცოდე, – დედასა ჰკლავს აი, ის კაცი, –
რათა საფიცრად ჰქონდეს შემდეგ დედის საფლავი!

**5.**

ჰოი, ლამაზო, რომ გვეპკურვი სულებზე ნამად,
შვილებს რად გვიკლავ წიაღშივე, სანამდე დაბად?
ამ გაშლილ სუფრას რომ უზიხარ, ხვალ უცხო მოვა, –
ის მიუჯდება, – შენ აგიკრავს გუდას და ნაბადს.

**6.**

პოლიციელო, დაიყარე თავზე ნაცარი,
ეგრე უგულო ხომ რიყეში კლდე და ქვაც არი.
დიაცის ცემა მხოლოდ დიაცს შეეფერება,
მითხარი ერთი, ქართველობა შენი სად არი?!

**7.**

ნუ მიენდობი მტირალ კაცს და დედაკაცს მცინარს,
ნუ დაუდგები ქარბორბალას ნურასდროს წინა, –
გერიდებოდეს, ძმაო ჩემო, მუდამ იმ ცხვრისა,
ლომის ბუნაგში, ლომის გვერდით რომელსაც სძინავს!

**8.**

ხალხის საძარცვად, ეშმაკების სამანქანონი:
დავდგით კაზინო, ლატარეა, ხუნტრუც-სალონი...
ან კარგს რას შექმნი, სად კანონი აღარ კანონობს,
და თუ კანონობს, ერთადერთი, – ჯუნგლის კანონი!

**9.**

ოჯახის დედავ, შვილთმრავლობას კვლავ დასდე ფასი.
შიში, რომ მათ შენ ვერ გამოზრდი, – განაგდე ნავსი.
კვლავ გამამაცდი, განსაცდელში არის სამშობლო,
ასი თუ მოკვდა, გადარჩება მეორე ასი!

**10.**

ნუ დაივიწყებ, ვინც გაჩუქა სამყაროს სუნთქვა,
ვისაც ცხოვრების საიდუმლოს ავ-კარგი უთქვამს,
ნუ დაივიწყებ, ვისაც სძულხარ და ნურცა იმას,
ვინც გასაჭირში შიმშილის ჟამს გიტეხდა ლუკმას.

**11.**

როდემდე უნდა იმრუშოთ და მანქანა სცვალოთ,
კურტუმის ქნევას შენც მოეშვი, საბრალო ქალო!
არმია გვინდა! – ირგვლივ მტრების კოცონი ღვივის! –
ნუ ჰყრით წუმპეში მაგ ფულს, უხ თქვე...
ყრუნო და ბრმანო!!!

**12.**

მთავრობა რომ ხარ, უნდა ჩასწვდე კაცის რაობას –
ხალხს ნუღარ უზრდი ყაჩაღთა და ქურდთა თაობას;
ერს ურჩევნია, თუნდ ერთ ლატაკ ვაჟას აჩენდეს,
ვიდრე ფულიან ასიათას არარაობას!

**13.**

– გამოჩნდი, სანამ შენი ხსოვნის განვაგრძობ ქსოვას,
თორემ მომადგნენ წასაგვრელად, სხვაც ბევრი მოვა.
– ნუ გავიწყდება, ო, ძვირფასო, მე იმ ლომს ვგავარ,
თავის ძუს რომ არ დაანებებს აფთრების ხროვას.

**14.**

ნუ ფიქრობ: რადგანაც ოჯახი ძველია,
ცოლ-ქმარიც ერთ მხარეს გამოიცქერიან;
ქმარი თუ თავია, – ცოლი კისერია,
იმ თავს, საითაც სურს, – იქით შეაბრუნებს.

**15.**

თუმც შენგან შორს ვარ, მაინც ვხედავ განგების ძალით,
მაგ სილამაზეს რომ არა ჰგავს ჯუფთი და ცალი;
ჩემს წიგნს რომ ფურცლავ, – ყველა ასო ჩემი თვალია
და ასე ვუცქერ შენს მშვენებას მირიად თვალით.

**16.**

ბევრმა არც იცის, ვის აცვია შაჰის ხალათი,
ჩვენი სიმდიდრე გარეთ, რომელ ბანკში გადადის,
მაგრამ ორი რამ ქვეყნის თვალს ვერ დაემალება:
ორსულად ყოფნა დიაცის და... ერის ღალატი!

**17.**

მზე აამშრალებს ტალახიან მიწას ნაწვიმებს;
ღმერთი უშველის, თუ საკვდავად კაცი გაწირეს;
შენ თუ პური გაქვს, იგი ყველას გაუნაწილე,
მაგრამ ყველასთან პურს ნურასდროს გაინაწილებ.

**18.**

ო, ჩემო ხალხო, დრო დაგატყდა საშინელ ცოდვის,
უარესი კი გზაშია და ისიც აქ მოდის.
გამოიღვიძე, წამოდექი, ახლა მეორე
ძუძუს აჭრიან შენს ქვეყანას, რომელსაც სწოვდი!..

**19.**

თუ სილამაზე შემდგარია ეშმაკის კვალად,
თუ სასიკეთოს თავის შიგნით არაფერს მალავს,
რას გარგებს იგი? – დააკვირდი ზოგიერთ საკრავს, –
მის სიმრუდეში სახლობს სწორედ მისი ხმის ძალა.

**20.**

დიდი ცოდვა სდევს ადამის ძეს მას შემდეგ კვალში,
რაც ერთხელ ევამ აკრძალული იგემა ვაშლი.
ამიტომ არი ასე ტკბილი ნაკრძალი ცოდვა,
რომელიც იშვა ქალისაგან და ბუდობს ქალში.

**21.**

ლამაზ ქალს ვკითხე: ამ ყვავილებს რისთვისა ჰყიდი?
მის მოყვანას ხომ თავს აკლავდი და ოფლსა ჰღვრიდი?
მან მიპასუხა: ყვავილებში მიჯობს სიკვდილი,
ვიდრე ცხოვრებას ვაგრძელებდე სირცხვილის რიდით.

**22.**

წასვლა-მოსვლის გზა გულზე გადის, ძვირფასო, ოდით,
განწყობაზეა: სიკეთე ჰქმნა თუ სცოდო ცოდვით;
როცა ზარს რეკენ, გააჩნია, როგორ აღიქვამ:
რეკვის დროს „წადი-წადიც" ისმის და „მოდი-მოდიც..."

**23.**

ჩემო რუსიკო, ჩემო დაო, მართლა ლომიძევ,
ყოველგვარ სნეულს სააქიმოდ შენთან რომ იწვევ,
ამდენ სიყვარულს, ან მადლობას, სად და რაში სდევ, –
შენი წამლებით განკურნებულ ხალხში რომ იძენ?

**24.**

ო, სიყვარულო, ვინ არი, რომ შენ არ გინატროს?
შენს მოსვლაზე თუ დაკარგვაზე ვინ არ სწირავს დროს?
ყველაფერი ხარ: ბრძენიც, შლეგიც, ხეპრეც, რეგვენიც,–
ერთი ხარ, მაგრამ, ორ გულში კი ხშირად ბინადრობ.

**25.**

ჩვენს ქალს უცხოთა ზნეობისკენ გაექცა თვალი,
ჩაცმითაც ისე მიემსგავსა, ვით ტყუპის ცალი, –
ჰეი, ადამის კიდევ ერთი ნეკნი მომიტათ,
რადგან სამშობლოს კვლავ სჭირდება ქართველი ქალი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზანი წამებისანი



დიანა კესნერი

მძინარემ შევიგრძენი სახეზე ცივი, სველი ჩხვლეტები. ყელსა და ყურზე წყლის პატარა ნაკადები ჩამომდიოდა. პირველი, რაც დავინახე – ვეება მთვარე იყო. შავი ღრუბლები ფანტასტიკური შუქ-ჩრდილებით იკვეთებოდნენ მასში. ხელებმა შეიგრძნეს საბანზე დაფენილი თოვლის საფარი, იქვე თავჩაბუდნულს ეძინა 5 წლის დაიკოს. საწოლის ბადე ირტიშის ციცაბო ნაპირზე ზედ მიწაზე იდგა. ღამით მოთოვა და თოვლის დონე ჩვენს საწოლს გაუტოლდა.

ალბათ უკვე თენდებოდა. ხან აქ, ხან იქ, სიბნელეს კვეთდა კოცონთა წითელი ენები. მეწამულ მოცეკვავე შუქზე მოჩანდნენ უბედური გაყინულ, განაწამებ ადამიანთა ჯგუფები. ეს საქართველოში მცხოვრები გერმანელები იყვნენ, სპეცგადასახლებულნი, ერთ საათში რომ მოწყვიტეს მშობლიურად ქცეულ კერას და ამ ღვთისაგან მივიწყებულ ირტიშისპირეთში გადმოასახლეს. კოცონებს შორის მიმოდიოდნენ ტყავის ქურთუკებსა და მელიის ბეწვის ქუდებში შემოსილი ადამიანები, ფეხით გადადიოდნენ მწოლარეებზე, რაღაცას ეკითხებოდნენ კოცონთან მიმსხდარებს და იწერდნენ. ისინი მუშახელის დამქირავებლები იყვნენ და ვისაც ბედმა გაუღიმა, მიიღო სამუშაო, რაც საცხოვრებელსა და შიმშილით სიკვდილისაგან გადარჩენას ნიშნავდა.

1941 წლის შუა სექტემბერი იდგა. გერმანიასთან ომი მძვინვარებდა. ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო – ყველა ჯარში გაიწვიეს. ფრონტებიდან დამთრგუნველი ცნობები მოდიოდა.

ჩემი კეთილი, მხიარული, ლაღი თბილისი – მკაცრი და შეფიქრიანებული გახდა. მოვალეობის გრძნობა თითოეულ თბილისელში უჩვეულოდ გაძლიერდა.

ერთხელაც გაკვეთილებიდან შინ დაბრუნებულს საშინელი სურათი დამხვდა. ჩვენი ბინის კარ-ფანჯარა მოღიავებული იყო. ყველგან ნაცნობი თუ უცნობი ადამიანები ირეოდნენ. ოთახებში ფანერის დიდი ყუთები ეწყო. აღგზნებული, მაგრამ მობილიზებული დედა ბრძანებებს იძლეოდა: – ეს არ გვინდა! აი ეს კი თბილებია, აქეთ მოიტანეთ – ყუთებში ყრიდა ნივთებს და ტანსაცმელს. ადამიანებს მოჰქონდათ რაღაც ფუთები და ჩურჩულით ეუბნებოდნენ დედას – წაიღე, ლიდა, იქ გამოგადგებათ... დეიდებმა მაშინვე ამიხსნეს ყველაფერი: გვასახლებდნენ, როგორც გერმანელებს, ომია!.

უცებ დედამ შეწყვიტა საქმიანობა და უფროსებისკენ გაემართა: – მოხუცი შეიბრალეთ, 73 წლისაა, ის აბა რას დაგიშავებთ! სამხედროები გაგვეცალნენ და ბჭობა დაიწყეს. ეს მოხუცი კი საპარადო მაქმანებიან შავ სამოსში გამოწყობილი ამაყად და შემართულად იჯდა ძველებურ სავარძელში, თითქოს აქ დატრიალებული ამბები სრულიად არ აღელვებდა. სამხედროები მოტრიალდნენ: ზუსტად გვითხარით, რა ეროვნებისა იყო თქვენი მეუღლე? – პრუსაკი! ჭეშმარიტი პრუსაკი! – მოუჭრა ბებიამ.

– აი, ხომ ხედავთ, – ხელები გაშალა ახალგაზრდა ლეიტენანტმა.

– შევეცდებით რაღაცა მოგიხერხოთ, – უთხრა მეორემ.

– გმადლობთ! – ღირსებით უპასუხა ბებიამ. ნუ შეწუხდებით! მე ჩემი ვაჟიშვილების ბედს გავიზიარებ, – და სავარძლის საზურგის ფონზე გამოიკვეთა ბებიას თმაშევერცხლილი, ლამაზი, ამაყი პროფილი. ვაჟიშვილები: ვადიმი, ვალერიანი და იური – ჩემი მამა –იყვნენ.

4 საათი მზადებისათვის და თავი გვიკრეს ცხენებისა და ნაკელის სუნით გაჟღენთილ ვაგონებში – „ტეპლუშკებში". ზოგში სასწრაფოდ შეკოწოლავებული ნარები იდგა – ეს უკვე კომფორტი იყო. დედას ნებადართული სამი ყუთის გარდა უფლება მისცეს რკინის საწოლი და სკივრი წამოეღო.

წარმოდგენა ჩვენი სახლის მობინადრეებზე მათი ყუთებში ჩალაგებული ნივთებით შეიძლებოდა განსაზღვრულიყო – ვალია ძიამ ორი ყუთი საყვარელი წიგნებით შეავსო, მესამეში კი, რაც ხელთ მოხვდა ის ჩაყარა. დანარჩენს აღარ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა.ძია ვადიმმა თავისი ძვირფასი ვიოლონჩელოთი დაიკავა ერთი ადგილი, მეორე ყუთი ნოტებით, სურათებით და ენციკლოპედიებით გაავსო. ბებიამ მისთვის ძვირფასი მოსაგონარი სამახსოვროები გადააწყო – შემორჩენილ პარიზულ ტუალეტებში აქა-იქ ბზინავდა ვერცხლეული ფ.კ (ფრანც კესნერი) მონოგრამით, სპილოს ძვლის ნივთები, რაღაცა ფაბერჟესაგან. რაღა თქმა უნდა, ეს ყოფილი ბრწყინვალების საცოდავი ნარჩენები იყო.

არისტოკრატებს არ შეეძლოთ და არც ცდილობდნენ შეგუებოდნენ ახალ ცხოვრებას. და მხოლოდ საქმიანი და ფხიზელი გონების, ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციაში პრაქტიკულად მოაზროვნე დედამ მხოლოდ ის წაიღო, რასაც შეეძლო სიცოცხლის გადარჩენა.

...ბაქოში „ტეპლუშკებიდან" ბარჟაზე გადაგვსხეს და ძლიერი ღელვის მიუხედავად ზღვაში გაგვიშვეს.

ღამით შტორმი ძალას იკრებდა. მოძველებული ხომალდი ხან სადღაც უფსკრულში ინთქმებოდა, ხანაც უცებ ზეცისკენ იტყორცნებოდა. ტრიუმი და გემბანი ხალხით იყო გადაძეძგილი, ადამიანები გროვად ეყარნენ ჩაბნელებულ ტრიუმში. მათ ქვეშ მყრალი წყალი ჭყაპუნებდა. ზოგჯერ ვიღაც წამოიკივლებდა და ზე წამოიჭრებოდა. ვირთხებმა იგრძნეს რა საჭმლის სუნი, ადამიანებს ესხმოდნენ თავს.

დაღლილობამ მძლია და მკვდარივით ჩამეძინა. გამოღვიძება ზღაპრული იყო: მშვიდი, მოსარკული აისის სხივებით გავარდისფერებული ზღვა... ლუზაზე უძრავად მიჯაჭვული ხომალდი.

სამიოდე საათის შემდეგ – ფეხი დავადგით კრასნოვოდსკის მიწას და შორიდან მიმზიდველი, თეთრი მბრწყინავი სასახლეები დილის ბურუსში საცოდავ, ალიზისაგან შელესილ ქოხმახებად გამოიკვეთნენ.

საღამოს სადგურზე შეგვკრიბეს და ისევ გზას გაგვიყენეს.

ქვიშა... ქვიშა... აქლემების ქარავნები, აქა-იქ იურტები, შოკოლადისფერი შიშველი გოგო-ბიჭები.

საინტერესოც იყო და კაეშნის მომგვრელიც.

გზა... გზა... უკვე ჩრდილო ყაზახეთია. სემიპალატინსკი. საგრძნობლად აცივდა. თოვლქარმა შემოგვიტია. პატარა ძველ გემზე გადაგვსვეს. გემს „8 თებერვალი" ერქვა. ფართო ირტიში კუშტად მიაქანებდა აქაფებულ ტალღებს.

ახლა იმ ამბავს მივადექით, როცა ჩვენ გვიან საღამოს ირტიშის შიშველ ნაპირზე გადმოგვსხეს.

– სემიიარსკი... ჩვენი ჩამწყვდევის ადგილი. ასიოდე სათამაშოს ფორმატის ზომის ბრტყელსახურავიანი სახლი. ბევრი გერმანული ოჯახი დამკვიდრიდა აქ. სხვანი შორეულ სოფლებში მიმოიფანტნენ.

პირველივე დღეებიდან ადგილობრივ საავადმყოფოში გამწესდა ექიმი გეინე და პირველივე წუთებიდან შეუდგა მძიმე, აუნაზღაურებელ შრომას. ამაში ეხმარებოდა მისი მშვენიერი მეუღლე არეტა. ავადმყოფებს საკუთარი, ჯერ კიდევ თბილისიდან წამოღებული წამლებით ამარაგებდნენ. გეინე პროფესიით ოტოლარინგოლოგი გახლდათ, მაგრამ თამამად და შედეგიანად აკეთებდა პირის ღრუს ოპერაციებს. ომი იყო. ასეულ კილომეტრზე ერთი ექიმიც არ მოიძებნებოდა. ფრონტმა შთანთქა ყველა. ერთხელ მასთან ახალგაზრდა ყაზახი ქალი მოიყვანეს, უბედური შემთხვევის გამო ცხვირი დაჰკარგოდა. ყაზახებს გენეტიკურად ფართო მიჭყლეტილი ცხვირები აქვთ: გაინემ კურდღლის თხელი ძვლიდან გამოთალა სახის დაკარგული დეტალი და პლასტიკური ოპერაციის შედეგად ახალგაზრდა ქალი დაამშვენა ლამაზმა ევროპულმა ცხვირმა, ისე რომ ძნელად საცნობი გახდა.

ჯადოქარი ექიმის დიდება ასეულ კილომეტრებს მოედო. აბორიგენ ქალებ გეინეს სახლი და საავადმყოფო დღედაღამ ალყაში ჰქონდათ მოქცეული.

მე გეინესთან სცენამ დამაკავშირა. საქმე კი ასე იყო: სემიიარსკში ცხოვრობდა პოლონელი მაგნატების დიდი რაოდენობა. პოლონეთში



● დიანა კესნერი



● მუსკომედიის სპექტაკლიდან „შურისმაძიებელი“

ჩვენი ჯარების შესვლის შემდეგ ისინი აქ გადმოასახლეს. ერთ-ერთ მათგანს, პანი მურაშევას ვილნიუსში – ევროპის ხელოვანთა წრეებში ცნობილი საბალეტო სკოლა ჰქონდა გახსნილი. გაძევებაში მყოფ პანის არ შეეძლო უქმად ყოფნა. მან შეკრიბა პოლონელი ბავშვები და დაიწყო მათთან მეცადინეობა ფიცრულ კლუბში, სადაც აღმართული იყო რაღაც სცენის მაგვარი და იდგა, ვინ იცის, როდის და ვის მიერ შემოწირული, პიანინო.

ყოველ დღე, მეცადინეობის საათებში შევიპარებოდი ხოლმე „დარბაზში“. მივიყუნტებოდი კუთხეში და მღელვარე შურით შევყურებდი კლასიკური ბალეტის ილეთებს. ამ ყინულით შეჭირხლულ კედლების შუაგულში, სადაც მოლაპარაკის სუნთქვა ყინულოვან ორთქლად იქცეოდა – ჭეშმარიტი ხელოვნება იქმნებოდა.

ვარჯიშს „ვალენკებში“ და დალიანდაგებულ ქურთუკებში იწყებდნენ და ოფლით დაცვარულ პერანგებში ამთავრებდნენ. პანი მურაშოვამ ნება დამრთო მევლო „სტუდიაში“. ნიჭიერი მოწაფე აღმოვჩნდი. შემდგომში თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როცა უკვე ოპერეტის პრიმადონა ვიყავი, წარმატებით და სიამოვნებით ვმონაწილეობდი საბალეტო ნომრებში.

...გაეცნო რა ჩემს ვოკალურ მონაცემებს, ბალეტმეისტერმა ჩემი საცეკვაო ნომერი ვოკალურ-ქორეოგრაფიულად გადააკეთა.

გადასახლების მესამე ახალი წელი უცხო მიწაზე დიდი კონცერტით აღვნიშნეთ. მოყვარულ მომღერალთა შორის გარიკ გეინეც იყო. ერთხელ დაესწრო ჩვენს რეპეტიციას, ნახა ჩემი ნომერი, მოისმინა სიმღერაც და შემომთავაზა, ერთად შეგვესრულებინა შტრაუსის და კარლა დონერის დუეტი ფილმიდან „დიდი ვალსი“. ჩვენი ხმები ჰარმონიულად შეეწყო ერთმანეთს: მას შესანიშნავი მჟღერი ბარიტონი ჰქონდა. მე 15 წლისა ვიყავი, პატარა, გამხდარი, ლამაზი გოგონა წელამდე ოქროსფერი კულულებით დამშვენებული. კონცერტისთვის ჩვენი აკომპანიატორის მინიატურული პანი იაკოვიცკაიას შავი ხავერდის კაბა ჩამაცვეს. თავზე მეკეთა ბებიას ნაქონი სირაქლემის ფრთიანი ხავერდის ბაფთა...

როგორც იქნა, ჩვენი ნომერიც გამოაცხადეს. გეინე, მაღალი, მხარბეჭიანი, სპორტული, ლამაზი როგორც ღვთაება – შავ კოსტიუმში უნაკლო იყო; ხელი ჩაეჭიდა გოგონასათვის, რომელიც ვერანაირი ძალისხმევით ვერ „გააუფროსეს“ კონცერტის მესვეურებმა. დარბაზში აპლოდისმენტებმა იფეთქა. ჩვენ დავიწყეთ სიმღერა – ალბათ კარგად. უცებ შუა დუეტის დროს გაიხსნა კარი, იმწამსვე შემოიჭრა გაყინული ღრუბლის ფთილა და ვიღაცამ ბოხი ხმით იყვირა: ექიმი! ექიმი აქ არის?

– აქ ვარ! – შეწყვიტა სიმღერა ჩემმა პარტნიორმა და სცენიდან ჩახტა, დასახმარებლად უკვე მოისწრაფოდა არეტა წამლებიანი სკვოიაჟით.

ეს ზამთარი ყველაზე მშიერი იყო. და აი, საშობაო კონცერტის შემდეგ გერმანელი ბავშვები პოლონელმა ბავშვებმა მიიპატიჟეს. ეს იყო ჭეშმარიტი ქველმოქმედება. პოლონელები მთელი ომის განმავლობაში ამერიკიდან იღებდნენ დახმარებას: პროდუქტებს, ტანსაცმელს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კრიტიკულ სიტუაციებში ისინი წამლებს უზიარებდნენ გერმანელებს და პოლიტიკურებს (წამლებიც ამერიკული იყო).

შობის საღამოს პოლონეთის წარმომადგენლის სახლში გაშალეს სუფრა. მაგიდებზე ელაგა ცხელი კაკაოთი სავსე კონსერვის ქილები ორ-ორი ნამცხვრით და ორ-ორი კანფეტით.

საღამო დაიწყო ლოცვითა და საშობაო საგალობლებით იესო ქრისტეს და მატკაბოსკას (ღვთისმშობლის) ხატების წინ. პოლონურ ენას შეენაცვლა გერმანული. მღეროდნენ ბავშვები, ბანს უფროსები აძლევდნენ.

შემდეგ გაიმართა „ზღაპრული“ ნადიმი.

ბევრმა ვერ გადაიტანა მშიერი მესამე წელი. უკვე ყველაფერი გადავცვალეთ პროდუქტებზე, რაც კი ადგილობრივი მოსახლეობისათვის რაიმე ღირებულებას წარმოადგენდა. ჩაი! – მწვანე ჩაის ბრიკეტები ყველაზე მეტად ფასობდა, შემდეგ ფეხსაცმელი, ტანისამოსი და ბოლოს ოქრო. ოქროს მასიურ საქორწინო ბეჭედში 250 გრამ პურს იძლეოდნენ.

შიმშილი სულ ახლოს ეტმასნებოდა ადამიანებს. გაზაფხულის რომანტიკული გასეირნება „ასკილის მდელოებისაკენ“ ზამთრის ტრაგიკულმა სელამ შეცვალა. ადამიანები შიმშილისაგან დასიებული ხელ-ფეხით დაფოფხავდნენ თოვლში, თითქმის ირტიშის სათავეებამდე აღწევდნენ, დასისხლიანებული, დაფხაჭნილი თითებით ეძებდნენ თოვლში ჩამალულ ასკილის გაყინულ მარცვლებს და იმ წამსვე ყლაპავდნენ; ხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე, ვერ ბრუნდებოდა შინ; მას გაზაფხულზედა პოულობდნენ თოვლში ჩაფლულს. თუკი ზაფხულში გავდიოდით საქონელთან ერთად მინდვრებში „საცოხნელად“ – ვღეჭავდით ცხენის მჟაუნას, ანისულს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს. ზამთარში მხოლოდ ღმერთის იმედად ვრჩებოდით – რას გვიწყალობებდა იგი.

გადასახლების მესამე წელს მოვიდა ბრძანება - მოზარდები „მაიკან-ოქროს“ საბადოებში სამუშაოდ უნდა გაემწესებინათ.

ნაცნობი გემი „8 თებერვალი“ ქომინ-ქომინით შედიოდა დასახლებებში და განსაკუთრებული დანიშნულების ოფიცრები აგროვებდნენ მოზარდებს. სიაში ჩემი გვარიც ეწერა. მართალია, დედას ჰყავდა მეგობრები ჩვენი სოფლის „მაღალ ინსტანციებში“, მაგრამ წინასწარი შეტყობინების გარდა, მათ სხვა დახმარების გაწევა არ შეეძლოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი აჯანყდებოდნენ, ვისი შვილებიც უნდა წაეყვანათ. გადავწყვიტე თვითონვე გადამერჩინა საკუთარი თავი; უნდა გადავიმალო, სანამ გემი არ დატოვებს აქაურობას. მაგრამ სად? ყველანი ხელის გულზე ვართ. მაშინ თავი შევაფარე ჩვენი სოფლის ბოლოში ძველ მიტოვებულ სახლს, რომელსაც ახლომახლო მცხოვრებლებმა „მოჩვენებებიანი სახლი“ შეარქვეს.

კოშმარული ღამე! ვეღარ გავუძელი დაძაბულობას და ყველას თვალწინ გავქანდი ირტიშისაკენ. ტალღები უკვე ყინულებს მოაცურებდა. „ავად გავხდე“ – ამ ერთადერთი აზრით გადავეშვი ირტიშის ყინულოვან ტალღებში. „ავად გავხდე“ – ახლავე, ამ წუთში, დაუყოვნებლივ. მე ხომ სუსტი ვარ, გალეული. ავად გავხდები, ავადმყოფი არ სჭირდებათ, არ წამიყვანენ, დამტოვებენ!

მოზრდილი ყინულები ნაპირებს ეჯახებოდა, მეც მეხეთქებოდა, მაგრამ ტკივილს ვერ ვგრძნობდი, საერთოდ ვერაფერს ვგრძნობდი, მხოლოდ ვაზროვნებდი. როგორც იქნა, ქვაზე აეძვერი და ქარბორბალაში ვიდექი იმდენ ხანს, რასაც გაუძლო ჩემმა ნებისყოფამ. ძველი კაბა ტანზე შემომეყინა, ფეხები და ხელები გამიშავდა. არ მახსოვს, რამდენ ხანს გასტანა ყოველივემ. ვიღაც ნაცნობმა დამინახა და სირბილით მიმიყვანა სახლამდე.

ფილტვების ანთებამ დიდი ხნით მიმაჯაჭვა ლოგინს. შემდეგში გავიგე, რომ სიაში ჩემი ნომერი ჩემზე ცოტათი უმცროსმა გოგონამ დაიკავა. როდესაც გემი შუა მდინარეში გასულა – გოგონა მშობლების თვალწინ ქიმიდან გადამხტარა და დაღუპულა.

განდევნა... ეს არის ადამიანის წინააღმდეგ ახლად გამოგონილი რეპრესიის ფორმა. ჩვენს გადასახლებამდე – გაძევებას ჩემთვის ისტორიული გაგება ჰქონდა. ამ სასჯელის მთელი მორალური ტკივილი მე, ბავშვმა შევიგრძენი იქ, ჩემი მშობლიური ქართული მიწიდან შორს, შორს ჩემი უზომოდ საყვარელი თბილისიდან. ღამღამობით ერთსადაიმავე კოშმარულ სიზმარს ვხედავდი: სემიპალატინსკის ოთახის კედლები და ჭერი ნელ-ნელა ერთიანდებოდა, აი, სადაცაა გავისრისები – ვყვირი, მაგრამ ხმა არ ამომდის; მინდა გავიქცე კარისაკენ – ფეხები არ მემორჩილება, ჭერი სადაცაა თავზე დამემხობა, კედლების სივიწროვისაგან სუნთქვა მეკვრის... და აი აქ ვუბრძანებ თავს – გაიღვიძე – ეს სიზმარია! ეს საშინელი სიზმარია... შენ შინა ხარ!.. თბილისში ხარ!

წამოვვარდები მთლად ოფლით გალუმპული, განაწამები, ჩემს წინ პაწაწინა ჯვრისებური ჩარჩოიანი ფანჯარაა ყინულის სქელი ფენით მთლად შეჭირხლული. არა, არ არის ეს სიზმარი – ეს კოშმარია ცხადში.

როგორ მინდოდა შინ ყოფნა, ჩემს ქუჩაზე, ჩემს ეზოში, როგორ მენატრებიან მეგობრები: ლენა, ლამარა, ლილიკა, აპოლონი და ომარი. როგორ მინდოდა ჩემს საყვარელ სკოლაში სიარული, ჩემს კლასში ჯდომა, ჩემი ბავშვობის სიმპათიასთან სლავკა კალანდაძესთან ყოფნა. ჩვენი კლასიდან მან ერთადერთმა მიპასუხა ციმბირიდან გამოგზავნილ წერილზე, კეთილი, თბილი მეგობრული ბარათით, რომელსაც მიხატული ჰქონდა ისრით გაპობილი გული და საათი, რომლის ისრებიც გვიანი „12 საათს“ უჩვენებდნენ. ამ ბავშვურ ამბავს ტრაგიკული და ლამაზი გაგრძელება ეწერა...

მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

**დიანა კესნერი**

*თარგმნა ლამზირა ჩხეიძემ*

# აკვნიდან კუბოს კარამდე

გაზაფხულის პირზე თელავში ვიყავი...

ეს ქალაქი გამოუთქმელი ზებუნებრივი ძალით მიზიდავს, – საკმარისია ერთხელ გავიარო მის ძველისძველ ქუჩებში, ერთხელ ავანთო სანთელი ღვთაების ტაძარში, სულ ერთი პეშვი „ბატონის წყარო" შევსვა და, ისე ავივსები მადლით, მერე კარგა ხანს, სულის საგზლად მყოფნის...

ალბად იმიტომაც მიზიდავს ეს კურთხეული მიწა-წყალი, ალბად იმიტომაც მიხმობენ ასე ძალუმად მისი ეკლესიის გუმბათები, რომ „აქ მზედ ამოდის დილით ილია, ყვარლის მთებიდან აღმოსავლეთით"; – ეს სიტყვები ჩემს შორეულ ნათესავს - ლეილა ბაგრატიონ-ბაბადიშს ეკუთვნის, თუმცა არამარტო საკუთარი ძუძუთი ნასაზრდოები პოეტები და იმერ-ამიერ საქართველოში უმღერიან ასეთი შთაგონებით, კახეთის უძველესი დედაქალაქი ბევრი არაქართველის მუზადაც ქცეულა.

...იმ დილით შაშვის გალობამ გამაღვიძა, - ამომავალი მზის სხივები უკვე ოთახში დალიცლიცებდნენ, კავკასიონი ვარდისფრად ენთო, კაშკაშა ცაზე ღრუბლის ფთილასაც ვერსად ნახავდით. – უნებურად ემზარ კვიტაიშვილის სტრიქონები გამახსენდა:

„კამკამა დილა და მისი
მშვენება მოუხელავი,
იმ სიმაღლიდან ზვავივით
დაქანებული თელავი...
ოქროში ამოვლებული
ბაღიან-ვენახიანა
იმისი ფარდი, სადარი
მე არა მინახია-რა..."

სახლიდან ამაღლებული განწყობით გამოვედი და ალაზნის პროსპექტს დავუყევი, საიდანაც ზღაპრულ სურათივით მოჩანს უფლის ხელით დაქარგული ალაზნის ველი...

ხიდის ყურში მოჩუქურთმებული აკვანი იდგა, იქვე ჩუქურთმაში მოჭრილი სკამები და მაგიდები ჩაერიგებინათ. სიყვარულით დავცქეროდი ამ ხელოვნების ნიმუშებს და გული მწყდებოდა, რომ ვერცერთ მათგანს ვერ შევიძენდი; მოულოდნელად, აკვნის გვერდით, ნაირნაირი ჩუქურთმები შევნიშნე. ძალიან ლამაზი, მინიატურული, – მის წამოღებას ნამდვილად შევძლებდი, მაგრამ არ ვიცოდი, რაში უნდა გამომეყენებინა, – გამყიდველს ვკითხე, რა არის-მეთქი? მან კი კახური სიდარბაისლით გაიღიმა და სევდიანად მითხრა: კუბოს სახელურებიაო. გველნაკბენივით შევკრთი და გამოვბრუნდი.

– რაღა მაინც და მაინც აკვნის გვერდით დაუწყიათ ეს კუბოს სახელურები, განა სკამის ან მაგიდის გვერდით ვერ დადებდნენ? რა უნდა კუბოს აკვანთან, რა უნდა კუბოს აკვანთან?! – ამეკვიატა ეს ფიქრი და გული დამიმძიმა.

– შემთხვევით არაფერი ხდება, – ამოტივტივდა მეორე ხმა გონებაში, – გამყიდველმა გაუცნობიერებლად დაალაგა ერთმანეთთან ეს ორი უმნიშვნელოვანესი და ყველასათვის აუცილებელი ნივთი, მაგრამ ამით სიმბოლურად ითქვა, რომ აკვნიდან კუბოს კარამდე ერთი ნაბიჯია, სულ ერთი ნაბიჯი და ეს ნაბიჯი ჩატეულია ერთ წუთში – წუთისოფელში...

– ნეტავი იმას, ვინც ამ „ერთ ნაბიჯს" ღვთისკენ გადადგამს...

– ნეტავი იმას, ვინც წუთისოფელში მარადიულობას მოიმუშაკებს.

***

მეფის სასახლესთან ახლადგაღვიძებულმა ნუშებმა შემომცინეს და გუნება გამომიკეთეს,–

...მზის სხივები აკვნის ჩუქურთმებს დასთამაშებდნენ,– იქვე, აკვნის გვერდით, კუბოს სახელურები მდუმარებდნენ,–

გომბორი ისევე შესტრფოდა კავკასიონს, როგორც ათასი წლის წინ...

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

# „საქართველოში



ჩვეულებად მაქვს, გაზეთს ბოლომდე უნდა გადავხედო და თუ ლექსს მოვკარი თვალი, ჯერ ის უნდა წავიკითხო.

ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკის" მერვე გვერდზე რუბრიკას წავაწყდი: „ყველა ქართველი პოეტია", იქ დაბეჭდილი ლექსის ავტორი – მირანდა მამალაძე-თაყაიშვილი გახლდათ. რამდენიმე დღის წინ კი ჩვენი ჟურნალის გულშემატკივარმა და მეგობარმა, ქალბატონმა კლარა სვანიძემ საუბრისას სწორედ მირანდა მამალაძეზე მკითხა, ხომ არ იცნობთ, ძალიან პოეტური და საინტერესო ქალბატონია, ჩემთან „საქართველოს ქალი" რომ ნახა, მკითხა:

– სად შეიძინეთ, ძალიან მიყვარდა ეს ჟურნალი, მუდამ მქონდა გამოწერილი და ახლა, ჯიხურებშიც აღარ შემხვედრიაო.

– ვინც ეძებს, ის იპოვისო, უთქვამს ქალბატონ კლარას...

გვიპოვა კიდეც და აი, ქალბატონი მირანდა ჩვენი სტუმარია.

მობრძანდა „ლურჯი იებით ხელში"... მე ყოჩივარდები დავახვედრე, ერთმანეთს გაზაფხული და რვა მარტი მივულოცეთ, მერე კი დიდი ხნის ნაცნობებივით, თბილი და უშუალო საუბარი გავაბით.

კარგა ხნის საუბრის შემდეგ ვუთხარი, რომ არ ვიცოდე სამი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია ბრძანდებით, მშვენიერი გასათხოვარი ქალი მეგონებოდით-მეთქი. თან დავძინე არ გეწყინოთ, ეს ისე, ხუმრობით...

–რას ბრძანებთ, თუ მაინც ასე გგონიათ, სიამოვნებით ვიღებ ხუმრობასო.

მაშინ რაკი ჩემი სტუმარი ხართ პატარა ინტერვიუზე უარს ნუ მეტყვით-მეთქი და პასუხისთვის არ დამიცდია, ისე ვკითხე:

***– თქვენი ოჯახი გამაცანით.***

– მყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

მეუღლე ვაჟა თაყაიშვილი პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი, ყოფილი პარტიული მუშაკი, მოღვაწეობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამჟამად საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის თავჯდომარის აპარატის საორგანიზაციო სექტორის უფროსია.

უფროსი ქალიშვილი– ეკა თაყაიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობს თსუ ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრაზე, კითხულობს ლექციებს თარგმანის თეორიის გაწხრით. ჰყავს 9 წლის ქალიშვილი სალომე.

ვაჟი– კონსტანტინე თაყაიშვილი, არქიტექტორია, ორი შვილი ჰყავს, 12 წლის თათული და 4 წლის კოტე.

უმცროსი ქალიშვილი – ნინო აღმოსავლეთმცოდნეა. სტაჟირება გაიარა დამასკოს უნივერსიტეტში, ამჟამად მეუღლესთან ერთად ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში.

***– ქალბატონო მირანდა, გიყურებთ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ძალიან ლაღი და უდარდელი***

# უყვართ ლექსები...“

ბავშვობა გქონდათ...

— მშვენიერ ქალბატონს უცებ თვალები დაუნაღვლიანდა და ჩუმად, თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა — სევდიანი, ძალიან სევდიანი ბავშვობა მქონდა..

***—უდედოდ გაიზარდეთ?***

—უმამოდ... მამა უსაზღვროდ მიყვარდა...

წამით გაირინდა, აცრემლებულ თვალებს ცრემლის გადმოღვრის საშუალება არ მისცა, მერე მაპატიეთო და საუბარს დაუბრუნდა.

მამაჩემი ვლადიმერ მამალაძე უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მოადგილედ მუშაობდა./იყო ომის შემდგომი რეპრესიების მსხვერპლი/, 1948 წ. დააპატიმრეს როგორც ხალხის მტერი და შუა აზიაში გადაასახლეს.

მახსოვს, ჩხრეკის დროს როგორ ააბუნაგეს ჩვენი ბინა, წაიღეს, რაც კი რამ გვქონდა და დაგვტოვეს გაპარტახებული...

ისევ დუმილი...

სევდიან მოგონებებში თითქოს ტოლს არ ვუდებ ჩემს სტუმარს, ფიქრი მეც ბავშვობისკენ გამირბის.

1937 წელი. ჩემი დაბადების დღე, 8 წლის ვხდები. ერთი სული მაქვს ტორტზე ანთებულ სანთლებს სული შევუბერო... უეცრად უცნობი „სტუმრები" შემოდიან, მამა მიყავთ... და დარჩა ტორტზე აუნთებელი მერვე სანთელი.

— საოცარია, — არღვევს დუმილს ქალბატონი მირანდა.— მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ის საშინელი დღე კი ისევე მახსოვს, თითქოს გუშინ მოხდა ყველაფერი...

***— გეთანხმებით, ბავშვის გონება ალბათ ის უნიკალური ფირია, საიდანაც არასოდეს იშლება ჩანაწერი.***

— დედაჩემი ნინო აბაშიძე, ექიმი გინეკოლოგი გახლდათ. მამაჩემის უდანაშაულობაში ღრმად დარწმუნებული, სიყვარულით და სიამაყით ატარებდა მეუღლის გვარს. ნინო მამალაძე— ასე იცნობდა მედიკოსთა საზოგადოება სანიმუშო კოლეგას.

1956 წელს დაგვიბრუნდა რეაბილიტირებული მამა, აღადგინეს კიდეც თავის უფლებებში, მაგრამ 1958 წელს სამუდამოდ დაგვტოვა...

უსიამოვნო მოგონებები რომ გავუფანტო, ვეუბნები: — ***ვიცი, რომ გაიზარდეთ თბილისში, მთაწმინდის რაიონში... დამთავრებული გაქვთ უცხო ენათა ინსტიტუტი, შემდეგ?!***

— ვმუშაობდი 169-ე სკოლაში, ინგლისური ენის პედაგოგად. ამავე დროს მებაღეობა-მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დარგობრივი და ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელად... ამჟამად აღარ ვმუშაობ, თავს ბედნიერად ვგრძნობ შვილიშვილების— ამ ღვთიური არსებების სამყაროში. გვაქვს ჰარმონიული ოჯახი, ყველას გვიყვარს პოეზია, მუსიკა, ხელოვნება.

***— სად შეხვდით თქვენს მომავალ მეუღლეს?***

— ხომ გსმენიათ, სადაც არის ბედი შენიო...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კომკავშირული საგზურით მიმავლინეს 26 კომისრის რაიკომში, სადაც განყოფილების გამგედ მუშაობდა ვაჟა თაყაიშვილი. იქ ჩვენი საქმიანი ურთიერთობები წმინდა სიყვარულში გადაიზარდა და მალე დაგვირგვინდა კომკავშირული ქორწილით. ეს იყო ჩვენთვის უბედნიერესი და დაუვიწყარი დღე. 37 წელია მას შემდეგ და ჩვენს სიყვარულს ფერი არ უცვლია.

***— ქალბატონო მირანდა, როგორ ფიქრობთ, სიყვარული უკვდავია?***

— სხვისი არ ვიცი და ჩემი, მართლაც რაინდული თვისებების მქონე ჩემი მეუღლისადმი სიყვარული უკვდავი იქნება. ჩვენ ერთ ვარსკვლავზე, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილნი...

***— ქალბატონო მირანდა, როდის დაწერეთ პირველი ლექსი?***

მეხუთე კლასში. ეს იყო მიზეზი, რომ დედამ პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრეში მიმიყვანა. იქ ვეზიარე ლიტერატურის და პოეზიის სიყვარულს, იქ გავეცანი ქართველ პოეტებს.

ერთხელ სასახლეში მოწვეულ გრიშაშვილს, წრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან ანანიაშვილმა ჩემი ლექსები წააკითხა. ბავშვების დიდად მოყვარულმა პოეტმა შემაქო და მითხრა: ბევრი იკითხე და წიგნებთან იმეგობრეო.

ეს არის ჩემი ბავშვობის ყველაზე კეთილმოსაგონარი დღე.

—ქალბატონო მირანდა, სულ მალე, როგორც ვიცი დღის სინათლეს იხილავს თქვენი ახალი წიგნი. როგორც ნაზი კილასონია წერდა: „საქართველოში უყვართ ლექსები" და თქვენს წიგნსაც შეიყვარებს თავის მკითხველი, თუ მიაკვლევენ...თუმცა,.. ვინც ეძებს, ის იპოვისო...

ნაზი ბითაძე

*მირანდა მამალაძე—თაყაიშვილი*

## სვეტიცხოველთან

სვეტიცხოველი გაყუჩდა ერთხანს,
შემოჯაროდა მთები ზვიადი
და ღვთის გვირგვინი თავს ედგა მცხეთას
აცისკროვნებდა მას განთიადი.
მთებზე აენთო ზურმუხტის ფერი,
ტაძარი იდგა კრძალვით,
ზეცას ვედრებდა ჯვრის მონასტერი,
ნახატი ოქროს კალმით.
თავისუფალი და დაუზმელი
ვარდისფერ სხივთა ტბაში,
ცაზე ცურავდა თეთრი ღრუბელი
და მე ვინატრე მაშინ.
აქ ჩავიძირო, ამ სავანეში,
ამ სილამაზით მთვრალი,
ნანას მიმღერდეს თეთრი არაგვი
აკვანს მირწევდეს მტკვარი.

***

მსურს ვიყო განსხვავებული,
არ მინდა ვგავდე სხვას,
სხვასავით ვლაპარაკობდე,
ვფიქრობდე, როგორც სხვა,
მჯეროდეს, როგორც სხვას სჯერა,
მწამდეს როგორაც სხვას,
ვაკეთო ის, რაც სხვას უნდა,
ავყვე სხვის გულისთქმას.

***

ვარსკვლავებით მოჭედილა ცა და
ალვის ხეებს მთვარის შუქზე სძინავთ,
ჩუმად სუნთქავს ღამე და ჩემს გულში,
მონატრებამ კვლავ დაიდო ბინა.
ციმციმებენ ვარსკვლავები შორეული
მიღიმიან, რა ლამაზად კრთიან,
შევყურებ და ვდგავარ გრძნობამორეული,
შენ რომ გნატრობ, იმათ რა იციან.



***ახლა ქვეყანაში ჯანდაცვის რეფორმა მიმდინარეობს. მისი ერთ-ერთი მიმართულება მოსახლეობის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარებაა. გადაუდებელ დახმარებათა შორის კი ტოქსიკოლოგიური დარგიც შედის.***
***ტოქსიკოლოგიური სამსახური დასავლეთის ქვეყნებში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სტრატეგიული მნიშვნელობისაა. საქართველოში კი თითქმის გაუქმების პირასაა მისული.***
***გვესაუბრება ციცი ჩოფიკაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე:***

# სიცოცხლის გადარჩენისათვის აუცილებელი

– გადაუდებელ დახმარებათა შორის ტოქსიკოლოგიური სამსახური მთავარია. დღეს, როცა მთელი სისასტიკით გვიტევს ქიმიური, ბიოლოგიური და ეკოლოგიური კატასტროფები, აუცილებელია სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება და არა გაუარესება.

ეს განყოფილება წლობით ატარებდა კლინიკური ტოქსიკოლოგიის სტატუსს და ამდენად მისი გაუქმება დაუშვებელია. გაუმართლებელია ის აზრიც, რომ ტოქსიკოლოგიური განყოფილება რენტაბელური უნდა იყოს. ეს სამსახური ხომ სტრატეგიული მნიშვნელობისაა, შეიძლება იყოს დღეები, ავადმყოფი საერთოდ არ შემოვიდეს, მაგრამ არის შემთხვევები ჯგუფური და მასობრივი მოწამვლებისა.

გავიხსენოთ თუნდაც 9 აპრილის ტრაგედიის დღეები, როცა სასწრაფო დახმარების მანქანებს ასობით მოწამლული მოჰყავდა. სამი თვე მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით, ვებრძოდით შეუცნობელს, საშინელ ქიმიურ ნივთიერებებს. რადაც უნდა დაგვჯდომოდა, უნდა ჩავწვდომოდით და გაგვემარჯვა. 4300 მოწამლული გადავარჩინეთ.

1991 წლამდე ტოქსიკოლოგიური განყოფილება წელიწადში 1200 ავადმყოფს ატარებდა, ახლა 400-500 ავადმყოფია. საშიშროება კი ყოველდღიურად იზრდება. მოწამლულები ხშირად უფულობის გამო ბინაზე რჩებიან, ან სხვა საავადმყოფოებში და კერძო კლინიკებში იფანტებიან, ბოლოს კი ისევ ჩვენთან მოჰყავთ გადასარჩენად.

***– ჩვენ გვახსოვს თქვენი სამსახური აღმაშენებელზე, კეთილმოწყობილი და საკმაოდ დიდი ცენტრი იყო.***

– 1961 წელს ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში დაარსდა გადაუდებელი თერაპიის კათედრა და განყოფილება, სადაც საფუძველი ჩაეყარა სპეციალიზებული ტოქსიკოლოგიის სამსახურს. შემდეგ ავადმყოფთა მომატებამ და თავისებურებამ აუცილებელი გახადა განყოფილების შექმნა. ეს მოხდა მე-5 კლინიკური საავადმყოფოს (ე. წ. მიხაილოვის) ბაზაზე, რომელიც შემდეგ რესპუბლიკის ცენტრალური ტოქსიკოლოგიის ცენტრად გადაკეთდა.

მაგრამ 1994 წელს მე-5 კლინიკური საავადმყოფო გადაეცა „მაშველთა კორპუსს" და ტოქსიკოლოგიურმა სამსახურმა ფუნქციონირება ველარ გააგრძელა, ამიტომ გადმოგვიყვანეს საბურთალოზე, ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

ტოქსიკოლოგიური სამსახურის არსებობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს დაადასტურა წარსულის პრაქტიკამაც: 9 აპრილის ამბები, სამგორის მეტროს ხანძარი, „ქარიშხალას" საცურაო აუზში თხიერი ქლორით მასობრივი მოწამვლა, სასტუმრო „აფხაზეთის" ხანძარი და ბოლო თვეებში ბუნებრივი აირით მოწამვლები.

***– რა სახის მოწამვლები ექვემდებარება ტოქსიკოლოგიას?***

– ქიმიური, მედიკამენტური ინტოქსიკაციები, ალკოჰოლური, სუიციდური მცდელობა (თვითმკვლელობა), მცენარეული შხამებით (სოკო და სხვ). ცხოველური შხამებით (მორიელი, გველი)...

***– რა სახის მოწამვლები გახშირდა?***

– ალკოჰოლური, ბუნებრივი აირით, სუიციდური მცდელობა. მოგეხსენებათ, სპირტიან სასმელებს კერძო ფირმები პრიმიტიულ პირობებში ამზადებენ და შედეგიც სახეზეა. რაც შეეხება თვითმკვლელობას, ეს განაპირობა უმუშევრობამ, ხვალინდელი დღის შიშმა, უფულობამ, შიმშილმა და საერთო გალატაკებამ. ამიტომ ფსიქოზების შედეგად გახშირდა თვითმკვლელობები. საინტერესოა, რომ ინგლისში მეტი თვითმკვლელობაა დაფიქსირებული, ვიდრე, მაგალითად ავღანეთში, სადაც უკიდურესი სიღარიბე, ომები და ცხოვრების დაბალი დონეა. ინგლისში კი პირიქითაა, მაგრამ სულიერი გაჭირვება ეტყობა საგანგაშოა...

***– ახლა თქვენთან მძიმე ავადმყოფია, რითაა მოწამლული?***

– საქონელს მკბენარი შეესია და ქიმიური ნივთიერება შეასხა. შეუჩერებელი ღებინება და დავარდნილი წნევა ჰქონდა. მაგრამ ორ დღეში კარგად გახდება და გაეწერება.

ამიტომაა ტოქსიკოლოგია განსხვავებული დარგი. მუშაობაც სხვანაირია. ვერ დათვლი ავადმყოფებს. აქაა კრიმინალური, მწვავე, გადაუდებელი შემთხვევები. როცა გაჭირვებული ადამიანი მორბის, მოწამლულია და საერთო ნორმებში არ ჯდება, მაგრამ ის 80 პროცენტით ფიზიკურად ჯანმრთელია. მეორე-მესამე დღეს კარგად ხდება და მიდის.

***– ამჟამად ვის ექვემდებარება განყოფილება?***

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კრიტიკული მედიცინის კათედრას, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ზურაბ ხელაძე. განყოფილებაში წამყვანი ტოქსიკოლოგებია; ციალა ადეიშვილი, რუსუდან ქორჩილავა, ნატა ჯანაშია, დოდო ჭუმბურიძე, დარეჯან მშვიდობაძე, ნიკო გუჯაბიძე, ნანა ხაბულიანი, თეა მონიავა და სხვ.

***– რას ინატრებდით თქვენი ცენტრის ახალორძინებლად?***

– თანამედროვე სტანდარტებით მუშაობას. გვესაჭიროება ძვირადღირებული აპარატურა, რომელიც წუთებში ჩაატარებს რაოდენობრივ გამოკვლევას, სისხლში და შარდში დააფიქსირებს, რა რაოდენობის შხამია შესული.

ვოცნებობთ, ჩამოყალიბდეს მძლავრი ტოქსიკოლოგიური ცენტრი, სადაც გაერთიანდება ბავშვთა და მოზარდთა კლინიკურ-ტოქსიკოლოგიური განყოფილება თავისი ტოქსიკორეანიმაციით და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიით. ეს ყველაფერი ერთ სისტემაში მოექცევა და სწრაფად მოხდება ავადმყოფის გამოკვლევა და მკურნალობა.

ჩვენ პროფესიონალები ვართ, გვიყვარს ჩვენი დარგი. გვიხარია, როცა ავადმყოფი კმაყოფილი მიდის და მადლობის წიგნს ითხოვს.

ირმა ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უწამლოდ... ანუ უსაფრთხო მკურნალობა

*ის, რაც გუშინ ფანტასტიკად გვეჩვენებოდა, დღეს რეალობად იქცა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ დროსაც კი გაუსწრო წინ. სამწუხაროდ, პროგრესი ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით არ ეტყობა და კარგა ხანს, ალბათ, არც დაეტყობა. გაღატაკებული ქვეყანა საზღვარგარეთიდან ჰუმანიტარული თუ კომერციული და კიდევ სხვადასხვა საეჭვო მიზნებით შემოტანილი უხარისხო, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში საქონლით აივსო. მოკლედ, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში რომ მიეწია, დაახლოებით ის დაგვემართა.*

*გლობალური ეკოლოგიური, ქიმიური თუ ბიოლოგიური საფრთხის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჯანსაღი ცხოვრების წესი, სწორი კვება, ანუ ყველაფერი ის, რაც ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. მაგრამ, ალბათ ცოტამ თუ იცის, როგორ დაიცვას ჯანსაღი ცხოვრების წესი.*

*სწორედ ამ პრობლემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ექიმი თერაპევტ-ნატუროპათი* ქ-ნი ასმათ კევლიშვილი.



*— ქ-ნო ასმათ, პირველ რიგში, იქნებ ჩვენს მკითხველებს აუხსნათ, რა არის ნატუროპათია...*

— ნატუროპათია არის ტრადიციული მედიცინის სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულება, რაც თავისთავად ნიშნავს ბუნებრივ, უწამლო მკურნალობას. ნატუროპათია ხშირად ხალხურ მედიცინაში ერევათ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდით მკურნალობისას რიგ შემთხვევებში ხალხური მედიცინის ელემენტებიც გამოიყენება. ნატუროპათია ერთდროულად მოიცავს პრევენციულ ანუ პროფილაქტიკურ მედიცინას და უწამლო თერაპიას. ნატუროპათიის ძირითადი პრინციპია ადამიანის ორგანიზმის დაცვა დაავადებისაგან, ხოლო დაავადების შემთხვევაში მისი უსწრაფესი გამოჯანმრთელება ადამიანის ორგანიზმში არსებული უზარმაზარი შინაგანი ძალების ამოქმედებითა და გააქტიურებით. რა თქმა უნდა, ამ ძალების გამოსავლენად სწორი საშუალებები უნდა გამოვიყენოთ. ნატუროპათიული მკურნალობის ძირითადი მიზანია ადამიანის ორგანიზმის მთლიანობის აღდგენა, როგორც პროფილაქტიკური, ასევე სამკურნალო საშუალებებით. ანუ მკურნალობაში ჩართულია ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს სიცოცხლესთან. კერძოდ: ჰაერი, წყალი, მზე, დასვენება, ძილი, ვარჯიში, ემოციებზე კონტროლი და რაც მთავარია, სწორი, გონივრული რაციონალური კვება.

*— თქვენ მედიცინაში შედარებით ახალ გზას დაადექით. სიახლე კი წინააღმდეგობების დაძლევას, დიდ ნებისყოფას და ენერგიას საჭიროებს. რამ განაპირობა თქვენი სპეციალობის ამ მიმართულებით განვითარება?*

— მოგეხსენებათ, ბოლო დროს გახშირდა მოწოდებები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. სარეკლამო სამსახურები ხშირად გვთავაზობენ არაპროფესიულ მეთოდებს პროფილაქტიკურ თუ სამკურნალო დარგში. გარდა ამისა, ცივილიზებული სამყაროსგან განსხვავებით განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სუსტი მარეგლამენტირებელი სისტემის შედეგად ვიღებთ უხარისხო, ფალსიფიცირებულ, არაეფექტურ წამლებს. XX საუკუნეში განსაკუთრებული სისწრაფით განვითარებულმა ქიმიამ და ფარმაცევტულმა მეცნიერებამ სავალალო შედეგი მოგვცა — სიცოცხლისუნარიანობა დაქვეითდა და სიკვდილიანობამ იმატა, ამას ემატება მოსახლეობის მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და დამეთანხმებით ალბათ, რომ ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

*— თქვენ ახსენეთ სწორი, რაციონალური კვება. იქნებ უფრო კონკრეტულად გვესაუბროთ ამის შესახებ.*

— პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის პარალელურად დიდი რეკლამა უკეთდება ორგანიზმის დამშლელ პროდუქტებს — წამლის, ვიტამინების, თუ საჭმელ-სასმელის სახით. განა შეიძლება იმ პროდუქციის რეკლამირება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ანგრევს. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს მიერ მოხმარებული საკვები ძირითადად ქიმიური, სინთეტიკური, რაფინირებული, მასტიმულირებელი ნივთიერებებისაგან შედგება, რომელშიც თითქმის საერთოდ არ მოიპოვება ორგანული ვიტამინები, მინერალური ელემენტები და ცოცხალი ფერმენტები. გარდა ამისა, ადამიანების უმრავლესობამ არ იცის პროდუქტების სწორი ტექნოლოგიური დამუშავება, რის გამოც თვით მაღალხარისხოვანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტიც კი სასარგებლო თვისებებს კარგავს. მინდა ვუთხრა ჩვენს მოსახლეობას, რომ ორგანიზმს ყოველდღიურად მიაწოდონ ის, რაც აუცილებელია და არა ის, რაც გემრიელია. არ დაინაგვიანონ ორგანიზმი სრულიად უსარგებლო პროდუქტებით. ვერც ერთი პრეპარატი ვერ შეცვლის ბუნებრივ საკვებს. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობას და მოხმარებულ საკვებს შორის მუდმივი ურთიერთკავშირია. ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესი არამც და არამც არ ემყარება წამლისმიერ თერაპიას და ქირურგიულ ჩარევას. უფრო მეტი, ეს არის ბუნების კანონების ძირფესვიანი ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენება, რომელიც მთლიანად ნატუროპათიაში აისახება.

*— ქ-ნო ასმათ, სად ფუნქციონირებს თქვენი სამსახური?*

— მე-8 საავადმყოფოს ბაზაზე უკვე რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს სამშობიარო კლინიკა „გინეკა“, რომელიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „გინეკა“ თავისი საქმიანობით ემსახურება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ნატუროპათიური მკურნალობის მეთოდები ეფექტურად გამოიყენება სამშობიარო სახლის პრაქტიკულ საქმიანობაში. კერძოდ, აქ არსებული პროგრამა ითვალისწინებს მომავალი მშობლების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, საჭიროების შემთხვევაში მათ მკურნალობას, ორსულ ქალებში ნაყოფის სწორად, ფიზიოლოგიურად ჩამოყალიბებას, სწორ, რაციონალურ კვებას, უმტკივნეულო მშობიარობას და რაც მთავარია, შემდგომში ბავშვის ჰარმონიულად ზრდა-განვითარების წარმართვას. რაც მთავარია, ყოველივე ეს ხდება უწამლოდ. ნატუროპათიული კაბინეტი გარდა მომავალი მშობლებისა, ემსახურება ნებისმიერ ადამიანს, ვისაც სურს თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უწამლოდ ანუ უსაფრთხო მკურნალობის საშუალებით მოიწესრიგოს.

თქვენი ჟურნალის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო სამშობიარო სახლის დირექტორს ბ-ნ კახი გელაშვილს და კლინიკის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ბ-ნ ელგუჯა ტარტარაშვილს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ჭეშმარიტად სწორი ორიენტაციისა და ეროვნული ინტერესების დამცველი ექიმები ბრძანდებიან, რომელთა ხელშეწყობით ახალი სიცოცხლის ჩანასახშივე ეყრება საფუძველი ჯანსაღი ცხოვრების წესს.

მარინე ნაკაიძე

225443

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პიონერფილმი“ ფარ-ხმალს არ ჰყრის...

ამ ოთახის კარი შემთხვევით არავის შემოულია – ზოგი მეგობარმა მოიყვანა, ზოგი – თანაკლასელმა, მშობელმა, და-ძმამ. ერთხელ მოსული კი სხვაგან აღარ წასულა, დარჩენილა და ისეთი ინტერესით, სიამოვნებით შედგომია საქმეს, თავადაც გაკვირვებია.

„პიონერფილმში“ გახურებული მუშაობის დროს მივედი. უზარმაზარ მაგიდას შემომსხდარი ოციოდე ბავშვი გატაცებით განიხილავდა ახალ ფილმს, რომლის გადაღებაც ის-ის იყო დაემთავრებინათ. მათი ხელმძღვანელი გრიგოლ ჩიგოგიძე კი შემაღლებულ ადგილას მაგიდასთან მიმჯდარიყო და ფარული კმაყოფილებით ადევნებდა თვალს თავის აღსაზრდელებს.

– ორიოდ წუთში დაგითმობთ ყურადღებას, – მითხრა ბატონმა გრიგოლმა, – ბავშვები მალე დაიშლებიან. ახლახანს დაასრულეს ფილმი, რომელიც მეტად მწვავე საკითხს – სასახლის ბაღის ჩამორთმევას ეხება. ძალიან განიცდიან ამ ფაქტს და ემოციურადაც გამოხატავენ საკუთარ აზრს. დიდის მიღწევის იმედი არა აქვთ, მაგრამ ყურადღებას რომ მიიქცევენ, ესეც რაღაცას ნიშნავს.

თითქოს ხელმძღვანელის სიტყვებს უცდიდნენო, ბავშვები უცებ წამოიშალნენ და ხმამაღალი საუბრით იწყეს ოთახიდან გასვლა. ბატონმა გრიგოლმა რამდენიმე მათგანს დარჩენა სთხოვა და ახლა ჩვენ მივუსხედით მაგიდას. საუბარს „პიონერფილმის“ ყოფილი აღსაზრდელი, ამჟამად ამავე სტუდიის მასწავლებელი და ტექნიკური უნივერსიტეტის ტელესარეჟისორო ფაკულტეტის პედაგოგი ქეთევან პატარაია და მშობელი მანანა ჩქოტუაც ესწრებოდნენ, რომლის სამი გოგონა სალომე, მარიამი და ანა ცხადაძეები ბ-ნ გრიგოლთან დაფრთიანდნენ.

***– ბ-ნო გრიგოლ, საიდან დაიწყო ყველაფერი?***

– გაზვიადებულად ნუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ქართული კინო ამ ოთახში დაიწყო – მეფისნაცვალს გადამღები აპარატი ჰქონია, რომელსაც აქ ინახავდა და კინომოყვარულის მიერ გადაღებულ პირველ ქართულ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც სავარაუდოდ 1904-06 წლებით თარიღდება „მეფისნაცვლის ტახებზე ნადირობა“ ჰქვია...

ჩემს ბავშვობაში სასახლეში ნორჩ მექანიკოსთა წრე არსებობდა. მეც სხვა ბავშვებთან ერთად აქ ვსწავლობდი კინოს გაშვებას. სასაცილო ის იყო, რომ აპარატი არ გვქონდა და ნახაზებითა და დიაგრამებით ვხელმძღვანელობდით. შესანიშნავი პედაგოგი გვყავდა კარლო კოჭლამაზაშვილი, რომელიც დღესაც ცოცხალი გახლავთ. სამი სასწავლო ფირი ჰქონდა კარლო მასწავლებელს „საბჭოთა კავშირის გერბი“, „საბჭოთა კავშირის ინდუსტრია“ და „ფიზიკა“ (ახლაც მაქვს შენახული) და ფირებზე იმით გვიქმნიდა წარმოდგენას. ერთხელ სასახლეში რაღაც აპარატურა მოიტანეს და გვითხრეს, კინოსტუდია უნდა გავხსნათო. ამ საქმის მოთავე პირველი სრულმეტრაჟიანი სამოყვარულო ფილმის „24 საათი თბილისში“ ავტორი, ჟურნალისტი გულბაათ აბელიშვილი გახლდათ. პირველ ფილმს, რომლის გადაღებაშიც ჩემთან ერთად ახლა საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები: ჯემალ ნინუა, ნანა თარგამაძე, მანანა აბრამიშვილი, გრიშა მალანია, ზეზვა ღულუნიშვილი, თამაზ ხუციშვილი, მერაბ ოდიშარია მონაწილეობდნენ, „ჩვენ მეგობრები ვართ“ ერქვა. ძალიან საინტერესო სურათი გამოვიდა. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ცოტათი პრიმიტიულიც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა და შეგვძინა.



გრიგოლ ჩიგოგიძე მოსწავლეებთან

მას შემდეგ ვერ შეველიე სასახლეს, მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე 42 წელია ტელევიზიაში ვმუშაობ და გადაცემა „რამპა“ მიმყავს.

***– დღევანდელ „პიონერფილმზე“ რას გვეტყოდით?***

– დღეს „პიონერფილმში“ 60 ბავშვი 2 ჯგუფშია გაერთიანებული. უმცროსების ჯგუფს ქ-ნი სვეტლანა მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს. უფროსებისას – თქვენი მონა-მორჩილი. ვიღებთ მხატვრულ, დოკუმენტურ და ანიმაციურ ფილმებს. წელიწადში დაახლოებით 2-3 ფილმი გამოგვდის, რადგან მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გაგვაჩნია, იდეების ნაკლებობას კი ნამდვილად არ ვუჩივით. კონტაქტი გვაქვს უცხოეთის ბევრ ქვეყანასთან, ბავშვებს ფილმებით მოვლილი აქვთ აშშ, გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, იაპონია. 1997 წელს საქართველო „პიონერფილმის“ მეშვეობით „იუნესკოსთან“ არსებული კინომოყვარულთა საერთაშორისო კავშირის „უნიკას“ 36-ე წევრი გახდა. „უნიკა“ ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს საერთაშორისო ფესტივალს. შარშან ნიდერლანდებში გამართულ ფესტივალზე ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა და ჩვენმა ფილმმა „მებადურისა და ოქროს თევზის ზღაპარი“ დიპლომი დაიმსახურა. წელს ლუქსემბურგმა უნდა უმასპინძლოს „უნიკას“ და მასში მონაწილეობის დიდი იმედი და სურვილი გვაქვს.

***– როგორ ბავშვებს იღებენ თქვენს სტუდიაში?***

– მნიშვნელობა არა აქვს. ყველას რაღაცის ნიჭი აქვს. შე-

---

# შეკითხვებზე პასუხობს ფსიქოლოგი

### ბრწყინვალე სპეციალისტი სულ დივანზე წევს

**ჩემი ქმარი უმუშევარია. იგი ბრწყინვალე სპეციალისტია და ადრე სხვადასხვა კონკურენტი ფირმები „იტაცებდნენ“. ახლა კი დეპრესიაშია, წევს დივანზე და თვლის, რომ აღარავის სჭირდება. ვცდილობ დავეხმარო, ვურეკავ ნაცნობებს, ის კი ჩემზე ბრაზდება. ურთიერთობა კატასტროფულად იძაბება. როგორ მოვიქცე?**

**ელისაბედი**

### ნუ ჩააცივდებით, აცადეთ!

როგორც ფსიქოლოგი გირჩევთ: არ გეცოდებოდეთ და არც „დაზარალებულის“ თხოვნის გარეშე სცადოთ დახმარება. თუ ქმარი თავის დროზე „ნათელი თავი“ იყო, არ შეიძლება შეცვლილიყო. ასეთი მამაკაცი თვითდაჯერებულია და იძულებითი უსაქმობა თავმოყვარეობაზე საშინლად მოქმედებს. ის თქვენზე ბრაზობს უფრო იმიტომ, რომ მისი „მარცხის“ მოწმე ხართ. ასეთ მომენტში უმჯობესია თავი გაანებოთ და შესაძლებლობის ფარგლებში სითბო და სიმყუდროვე შეუქმნათ. ნუ შეაწუხებთ გამოკითხვებით და რჩევებით. დაველოდოთ, რომ წამოდგება და მიხედავს თავს.

**ალა ზანიმონეცი**

### არ მინდა ჩემი შვილი „დედიკოს ბიჭად“ გაიზარდოს

**ძალიან მიყვარს შვილი, მაგრამ არ მინდა „დედიკოს ბიჭი“ იყოს. მითუმეტეს, რომ მამამისთან გაშორებული ვარ. ამიტომ მკაცრად ვექცევი, დამოუკიდებლობას ვაჩვევ. ხუთი წლისა უკვე ოჯახში მამაკაცის მოვალეობას ასრულებს. დედაჩემი მტუქსავს, შვილთან ძალიან მკაცრი ხარო. იქნებ მართალია?**

**ელვირა**

### გიყვარდეთ ისეთი, როგორიც არის

ფსიქოლოგებმა უკვე დაადგინეს, რომ ზედმეტი სიყვარული არ



ჩვენ „პიონერფილმიდან“ ვართ



სალომე, მარიამ, ანა ცხადაძეები

იძლება ბავშმა გადაღება არ იცოდეს, მაგრამ გამნათებლად, ხმის რეჟისორად, ოპერატორად გამოდგება. თუ არა და, ისე იაროს, ხომ მოსწონს, უხარია, საქმით მაინც დაკავდება. ერთი ირლანდიელი ბიჭი გვყავს აქ, 13 წლის ერიკ ერნანდესი. ქართული არც იცის, მაგრამ ერთი განახათ, რა ბედნიერად გრძნობს ჩვენთან თავს. განა შეიძლება ბავშვს ასეთი სიხარული მოაკლო?

***– ახლა ყველაფრის სახელის გადარქმევაა მოდაში, თქვენ კი ისევ „პიონერფილმი“ გქვიათ...***

– „პიონერი“ ლათინური სიტყვაა და „პირველს“ ნიშნავს. ჩვენც ყველგან და ყველაფერში პირველობა გვსურს. ტყუილად კი არ ხუმრობენ, ერთადერთი კინოსტუდია, რომელიც დღეს მუშაობს და რაღაცას ქმნის, „პიონერფილმიაო“. თავის დროზე საბჭოთა კავშირში 2500-ზე მეტი სტუდია იყო, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ჩვენ გვქონდა მონიჭებული საკავშირო კომკავშირის პრემია. იმ დროს ეს დიდი აღიარება იყო.

***– ვიცი, რომ თავადაც ატარებთ ფესტივალებს...***

– ფესტივალების ტრადიცია კარგა ხანია მოგვდგამს. მოყვარულთა ფესტივალი „თბილისური აისი“ შარშან ოქტომბერში 12 წლიანი შესვენების შემდეგ მეშვიდედ ჩავატარეთ. ადრე მასში უცხოეთის ბევრი ქვეყანა და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა მონაწილეობდა. წელს კი მხოლოდ საქართველოს მასშტაბით მოეწყო და 59 ფილმით იყო წარმოდგენილი. ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, ყოველ დღე უშვებდნენ გაზეთს, ხვდებოდნენ ჟიურის წევრებსა და მონაწილეებს.

„უცხოელების მოწვევაც გვინდოდა, მაგრამ ტელევიზიით ნახეს, რა ხდებოდა პარლამენტის წინ და შეშინდნენ“. – ეღიმება „პიონერფილმის“ ამჟამინდელ პრეზიდენტს, უნიჭიერეს გოგონას ანა უთურგაურს, რომელიც სულ ექვსი წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში, აქ ამეტყველდა ქართულად და დღეს მშობლიურ ენასთან ერთად სრულყოფილად ფლობს რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ ენებს, სწავლობს იტალიურს.

***– ანა, როგორ მიმდინარეობს შემოქმედებითი პროცესი?***

– მასწავლებელი გარკვეულ თემაზე გვაძლევს დავალებას. ყველას ჩვენ-ჩვენი ვარიანტი მოგვაქვს. მერე ერთად განვიხილავთ ხოლმე. ზოგჯერ ორი-სამი ბავშვი ერთად წერს სცენარს. თუ ღმერთმა ქნა და გამოგვივიდა რამე, ვარჩევთ რეჟისორს, მსახიობს, ოპერატორს და ა. შ.

***– მკაცრია გრიგოლ მასწავლებელი?***

– მკაცრი არა, მომთხოვნი. ძალიან ენერგიულია, მხიარული. თუ ამჩნევს, რომ მცირედის გაკეთება მაინც შეგიძლია, არ შეგეშვება და ბოლომდე ჩაგყვება.

„თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა მეც მათქმევინეთ“, საუბარში ქ-ნი მანანა ჩქოტუა ერთვება, – განა არ ვიცით, რომ ამ ბავშვებისგან ყველა რეჟისორი, ოპერატორი ან მსახიობი ვერ დადგება, მაგრამ ის სითბო, ის არაჩვეულებრივი მეგობრული ატმოსფერო და სიყვარული, რაც აქ ხვდებათ, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ. გრიშა მასწავლებელი მათ ისეთ ადამიანურ ურთიერთობებს აზიარებს, რომ აქ გატარებული საათები ნამდვილად არ მიმაჩნია დროის დაკარგვად“.

„1982 წელს მეგონა სამუდამოდ დავემშვიდობე „პიონერფილმს“, გრიშა მასწავლებლის მეორე თუ მესამე გამოშვება ვიყავი. ძალიან თბილად მახსენდება ის წლები და როცა ორი წლის წინ პედაგოგად მიმიწვია, სულ ფრენა-ფრენით მოვედი. ისეთი მხნეა, ისეთი დადებითი ენერგიითაა დამუხტული, არ შეიძლება არ აგიყოლიოს“, – ეს კი უკვე ქეთევან პატარაიას აზრი გახლავთ.

***– ბ-ნო გრიგოლ, „პიონერფილმელები“ მარტო საკუთარ ნაჭუჭში ხართ შეყუჟულები თუ?..***

– რადგანაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირის გამო დიდად პროდუქტიულები არა ვართ და მოგზაურობებიც შეკვეცილი გვაქვს, სხვა მხრივ ვცდილობთ თავის გამოჩენას: ყოველ წელს ვმონაწილეობთ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, სადაც ყოველთვის ძლიერი თემები გაგვაქვს, ვიღებთ დელეგაციებს, ფირზე გვაქვს აღბეჭდილი ყველაფერი, რაც სასახლეში ხდება, რის გამოც მშვენიერ არქივს ვფლობთ, ყოველ 28 დეკემბერსა და 8 მარტს აღვნიშნავთ კინოსა და ქალთა დღეებს, გვაქვს შეხვედრები კინემატოგრაფიასთან. ხშირად დავდივართ ოპერაში, მუზეუმებში, გამოფენებზე. ახლახანს ჩვენს სტუდიელს, ძალიან ჭკვიანსა და ნიჭიერ ბიჭს ლევან კახიშვილს შემოქმედებითი საღამო, ერთგვარი ბენეფისით მოვუწყვეთ. ყველამ მივიღეთ მონაწილეობა და ძალიან ვიმხიარულეთ.

***– თქვენს აღსაზრდელთაგან ვინმემ თუ დაუკავშირა მომავალი კინოს ან ტელევიზიას, რას გრძნობთ, როცა მათ ეკრანზე ხედავთ?***

– დილას რომ ჩავრთავ ტელევიზორს და „ალიონიდან“ ნინო შუბლაძე, „ტოროლადან“ კი ნიკა ლომიძე შემომღიმებს, ბედნიერი ვარ. „პიკის საათიდან“ მიხეილ მიმინოშვილი, „კურიერიდან“ კი თამრიკო ღვინიანიძე რომ მესაუბრება, ბედნიერი ვარ, შაბათობით „მაესტროდან“ თეა გვასალია რომ „მეჭორავება“, ბედნიერი ვარ, თეატრალურ ინსტიტუტში „პიონერფილმელებით“ მთელი ჯგუფი რომ დაკომპლექტდა – ბედნიერი ვარ. ვგონებ, ერთი ადამიანისთვის ამხელა ბედნიერება საკმარისზე მეტიც უნდა იყოს...

მანანა იმესაშვილი

---

არსებობს. კრიტიკა და სიმკაცრე კი ხშირად გვხვდება. ამ დროს ბავშვი დაკომპლექსებული, საკუთარ თავში დაუჯერებელი იზრდება. განა შეიძლება კრიტიკითა და სიმკაცრით აღზრდა? დედა ხომ ყველაზე ახლო მეგობარია. სხვა ვისგან უნდა ისწავლოს ბავშვმა სიყვარული და მოფერება, თუ არა მისგან? კარგია, რომ ჩაქუჩის აღებას არ უკრძალავთ, მაგრამ იგი სარგებლობას მაშინ მოგიტანთ, როცა თავად ექნება დაჭედების სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირიქით მოხდება. მამაკაცური მოქმედების ყოველგვარი სურვილი დაეკარგება. პასუხისმგებლობის ჩვევა ასაკის მიხედვით თამაშისას ძალდაუტანებლად და თავსმოუხვევლად გამოუმუშავეთ. უმჯობესია ხშირად უთხრათ, რომ ისეთი გიყვართ, როგორიცაა.

ალა ზანიმონეცი

*მოამზადა* ლია კაკაბაძემ

---

# ფერად-ფერადი

## უცნობი აგათა კრისტი

ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი, შესანიშნავი კინოოპერატორი იყო. 30-50-იან წლებში, სირიასა და ერაყში არქეოლოგიური გათხრების სანახავად მოგზაურობისას აგატამ ორი ორმოცწუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. ერთი ფერადი იყო, როგორსაც იმ დროს მხოლოდ პროფესიონალები იღებდნენ.

სხვათა შორის, აღმოსავლეთში მოგზაურობა მწერალს საკმაოდ გახმაურებული რომანების შექმნაში დაეხმარა.

1928 წელს, როცა აგატამ მესოპოტამიის უძველესი ქალაქის ყურეს სენსაციური გათხრების შესახებ შეიტყო, მაშინვე ტურისტად გაემგზავრა და იქ შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს მაქს მელოვაკს, ბრიტანეთის არქეოლოგიის იმდროინდელ აღიარებულ გიგანტს. მწერალი ქალის არქეოლოგიით გატაცებაც სწორედ მისი დამსახურებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამაღლება



ლამარა ჩხეიძე – ჭაღარა, მუდამ შემართული და ენერგიული ქალი. ახალგაზრდობის მეგობარი და მრჩეველი, საოცრად მახვილგონიერი და სიტყვამოსწრებული, მუდამ იმედიანი – ერთის შეხედვით ბედის ნებიერი გეგონება, მაგრამ როდესაც მის ცხოვრებას გაეცნობი, გაგიკვირდება: გული, გამძლეობა და მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, ამოდენა ტკივილი ატაროს და ირგვლივ მყოფთათვის მაინც ასე სასურველი, საყვარელი და მოყვარული იყოს.

ის პროფესორ შალვა ჩხეიძის ოჯახში დაიბადა. მამამისი საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. დედა კი ქუთაისის გიმნაზიის ყოფილი ინსპექტორის სერგი თოფურიას ქალიშვილი – თამარი, რომელიც პირველად გიმნაზიელი დააპატიმრეს, როცა 1921 წელს თავისი სუსტი ხმა შეუერთა პროგრესულ ახალგაზრდობას და საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას მოითხოვდა. ალბათ ესეც გაუხსენეს 1937 წელს და სარჩულად დაუდეს ციმბირში მის გადასახლებას.

ლამარას მამა უფრო ადრე დაუპატიმრეს და 1937 წლის ივნისში დახვრიტეს (ავადმოსაგონარ ბერიასთან შელაპარაკების გამო...) ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იყვნენ ბავშვები, როცა ნაცემი და ნაწამები მამის ნახვის შემდეგ დაპატიმრების მომლოდინე დედა არიგებდა მათ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როგორი შიშით, სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ ღამეში მათ სახლთან მოარულთა ფეხის ხმას, როგორ კანკალებდნენ, როგორ უცემდათ პატარა გულები ყოველ გაფაჩუნებაზე. ბოლოს დამთავრდა საშინელი მოლოდინიც, ღამით წაიყვანეს დედა და სამი წყვილი პატარა უსუსური ხელი ამაოდ ეფერება სამ წყვილ გამხდარ და მოცახცახე მხარს.

შემდეგ კვლავ შიში, შიში გაუთავებლად, ყელში გაჩრილი მლაშე ბურთი, მარტოობა და ბოლოს ქუთაისიდან გამოძახებული მოხუცი ბაბუა, რომელმაც დიდ ხანს ვერ გაუძლო თავსდატეხილ უბედურებას და სამი მცირეწლოვანი შვილიშვილის უმწეო ხელებზე დალია სული... აი, ეს კი ნამდვილი საშინელება იყო იმ ბედუკუღმართ დროში, როცა გაუგონარი განუკითხაობა სუფევდა ირგვლივ, როცა „ხალხის მტრის" შვილებთან გამოლაპარაკებაც კი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. ვინ აიტკივებდა თავს, ვინ შეიფარებდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვებს?!

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავსო" ნათქვამია და, ალბათ, სწორედ ღმერთი ურევია ისეთი ღვთისნიერი ხალხის გაჩენაში, როგორიც ბატონი სოლომონ ხუციშვილი იყო, რომელმაც მაშინ თავად ხელმოკლე ახალგაზრდა მეცნიერმა, შემდეგ ცნობილმა პროფესორმა ორი ქალიშვილის მამამ, სიცოცხლის რისკით მფარველობა გაუწია ლამარა ჩხეიძის უფროს ძმას, შემდგომში გამოჩენილ ქართველ არქიტექტორს, თბილისის სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს თორნიკე ჩხეიძეს, მეცნიერების მწვერვალებისაკენ გზა გაუკაფა და შვილივით აღზარდა. თუმცა ბავშვობაში მიყენებულ ტრავმას უკვალოდ არ ჩაუვლია. ვერც ბატონ სოლომონ ხუციშვილის, ვერც მისი კეთილშობილი მეუღლის – ლილი ქუთათელაძის სიტკბომ და ვერც მონატრებული დედის დაბრუნებამ ვერ აღადგინეს პატარა გულის ადრე დამზრალი ნაწილი, სწორედ ამიტომ ძალზე ადრე გამოეთხოვნენ სიცოცხლეს ბატონი თორნიკე და მისი უფროსი და ქეთევანი. არა და, ალბათ, მაშინდელი მთავრობისა და პარტიის მესვეურთათვის, რომ გეკითხათ, დედ-მამის „ცოდვებს" შვილებს არ მოჰკითხავდნენ...

ლამარა ბედმა თბილისიდან საჩხერეში გადაისროლა... როგორი სითბო უწილადა მას გულღია იმერეთმა. ყველა ცდილობდა, რაღაცით მაინც გაეთბოთ მისი პატარა გული, ეულად არ ეგრძნო თავი გოგონას. ყველაზე მეტად ამას ახერხებდნენ ბიძა და ბიცოლა, რომლებთანაც საჩხერეში იზრდებოდა. ასევე მისი სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი გენადი სადუნიშვილი, გულის სითბოს არ აკლებდნენ აღმზრდელი პედაგოგები, ასევე ბავშვობის მეგობარი, საოცრად კეთილი და სათუთი ბიჭი – ელგუჯა ამაშუკელი, განუყრელი მეგობარი – ნაზი გრძელიშვილი და სხვები.

შემდეგ? შემდეგ ჩამოვიდა დედა დაღლილი, დაბეჩავებული, დაბერებული, დახვდა უკვე წამოზრდილი შვილები, დანგრეული ოჯახი, გაციებული კერა... კვლავ მოუყარა შვილებს თავი, კვლავ გააღვივა რაღაც სასწაულით გადარჩენილი ნაპერწკალი, კვლავ თავისი გზით წავიდა ცხოვრება...

სიღარიბე, შიში, შიმშილი და ყველაფრის დამავიწყებელი სიკეთე... ლამარა ჩხეიძე საჩხერის საშუალო სკოლის ოქროს მედლით კურსდამთავრებული, ირიცხება თბილისის უნივერსიტეტში. ცოდნის თეთრი ტაძარი, მისი ნათელი აუდიტორიები და უწმინდესი პროფესორ-მასწავლებლები: შალვა ნუცუბიძე, ვარლამ თოფურია, აკაკი შანიძე, გრიგოლ კიკნაძე, ალექსანდრე ბარამიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, თანაკურსელები: სარგის ცაიშვილი, გულნარა ციცინაძე, მერი გუგუშვილი, ნოდარ ნათაძე, ოთარ ბაქანიძე, რომან მიმინოშვილი. მეგობრები: შოთა ნიშნიანიძე, ქართლოს კასრაძე, ჯენეტი ბაჯელიძე, ასმათ კიკვიძე და სხვანი და სხვანი.

ღმერთო, რამხელა სიკეთე და სიყვარული, რამხელა თანადგომა შეეძლოთ აქ დასახელებულ მაშინ ნახევრად მშიერმწყურვალ ამ ახალგაზრდებს, რა სუფთა სინდისი და რა ნათელი მიზნები ასულდგმულებდათ...

შემდეგ სიყვარულმა თბილისიდან შორს, სამეგრელოში გამოიტაცა და ხუთჯერ სხვადასხვა დროს დააქუხა დედამთილმა (მამამთილი ცოცხალი აღარ იყო) თოფი. ხუთი სიხარული შეემატა ოჯახს. 4 ქალიშვილისა და ერთი ვაჟის დედა გახდა ლამარა. დედობის გვირგვინით, განათდა მისი ცხოვრება, სახლი სავსე იყო ჟრიამულით.

გადიოდა წლები... კვლავ დაცარიელდა პატარა ბუდე: ბიჭმა პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიაშურა, გოგონები დედის კვალს გაჰყვნენ. მალე საკუთარი ბუდეებიც გაიჩინეს.

ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო. გულის სიღრმეში დარჩენილი იარა აღარ იყო იმდენად მტკივნეული, შვილიშვილთა და შვილთა სიხარული უქარვებდა წუხილს. ვინ იცის, იქნებ საბოლოოდ გამქრალიყო კიდეც ჭრილობა, მაგრამ...

ერთადერთი ვაჟიშვილის მიერ ინჟინრის დიპლომის აღებით გამოწვეული სიხარული სასიკვდილოდ განწირული ვაჟკაცის სარეცელთან გატარებული ღამეების სიმწარემ შეუცვალა.

უსაშველო დარდმა და ნაღველმა უცებ გაუთეთრა თმები, ლამის ერთიანად შეიწირა! არ დანებდა, მაგრამ სიკვდილს ხელიდან ვერ გამოსტაცა მეუღლეც – ერთგული მეგობარი. შვილის დაკარგვამ შეიწირა მამა. ცალუღელა შერჩა ცხოვრების ჭაპანს. ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, სიკვდილის მოლოდინი თუ დარჩენოდა ლხენად, მაგრამ ამაღლდა პირად ტკივილზე, თავისად მაყურებელი თვალები დაიბრმავა, შვილებისად მაყურებლით იარა და იცოცხლა. სხვაგვარად ვერც შესძლებდა ლამარასნაირი ქალი. დედის, მასწავლებლის, მეგობრის, მრჩევლის მოვალეობა ბევრს ითხოვდა მისგან. ელოდნენ – შვილები, მოსწავლეები, მეგობრები, მას კი ღალატი არასოდეს სჩვეოდა.

ისევ წამოიმართა ფეხზე (ეს მერამდენედ) გაუსწორა მუხთალ ბედისწერას თვალი – მოყვასის სიყვარულით სძლია!

...ყოველ დილით ჩვეული სიდარბაისლით დაუყვება ქუჩას. მიდის კდემამოსილი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი. შემხვედრნი ღიმილს შეაგებებენ, – თბილს, წრფელს, სიყვარულით გამთბარს.

მიყვასის სიყვარულით გასხივოსნებული ცხოვრებით დადიოდა პატარა ქალაქში დიდი ქალბატონი – ამჟამად თბილისს შეხიზნული, განათლების წარჩინებული ლამარა ჩხეიძე და ამ გაუსაძლისი გაჭირვების ჟამსაც ქართველი ქალობის მაგალითს გვაძლევს.

ლილი ვეკუა,
*აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი,*
*სახალხო განათლების წარჩინებული.*



მშობლების სკოლა

# დიეტოლოგები გვირჩევენ კვირაში ორჯერ პატარებს მოვუმზადოთ თევზის დღე

## თევზის პაშტეტი (1 წლიდან)

დაგვჭირდება: 500 გრამი თევზის ფილე (ფარგა, ვირთევზა, ხეკი), 2 სტაფილო, ცოტა მწვანე ხახვი, დაფნის ფოთოლი, სუფრის კოვზი კარაქი, ლიმონის ნაჭერი, ერთი მწიკვი მარილი.

*უცხიმო თევზის ფილეს შემოაცალეთ კანი, გამოიღეთ ფხები, დაჭერით მომცრო ნაჭრებად.

*მდუღარე წყალში ჩაუშვით განზე ორად გაჭრილი ფილეს ნაჭრები.

*გარეცხილი სტაფილო დაჭერით სქელ ნაჭრებად და ჩაუშვით იმავე ბულიონში. დუღილის ბოლოს ჩაამატეთ დაფნის ფოთოლი.

*საწურით ამოიღეთ ბულიონიდან თევზი და სტაფილო, გააციეთ.

*ხორცსაკეპ მანქანაში ორჯერ გაატარეთ ჯერ თევზი, მერე – სტაფილო.

*კოვზით კარგად აურიეთ ეს მასა, დაამატეთ ცოტა იოდიზირებული მარილი და ერთი სუფრი კოვზი დამდნარი კარაქი.

*პაშტეტს მიეცით წრის, რომბის ან სულაც თევზის ფორმა.

*სუფრაზე მიტანის წინ მორთეთ მწვანე ხახვით და ლიმონის თხელი ნაჭრით.



### ეს გამოგადგებათ

*თევზის პაშტეტით შეიძლება გააკეთოთ ბუტერბროდი, მორთოთ ლიმონით და ფოთლებით.

*კერძის გაფორმება განსაკუთრებით სჭირდებათ პატარა წუნიებს, რომლებიც ხშირად ხმარობენ სიტყვებს „არ მინდა", ანუ 2-3, ზოგჯერ მეტი წლის ბავშვებს. გამოიჩინეთ მოთმინება, ნუ დააძალებთ, რადგან ეს ხელს არ უწყობს მადის გახსნას.

*თუ პატარა უარს ამბობს პაშტეტზე, გამოიყენეთ იგი საჩურთად ბლინებში, ან გააკეთეთ ტოლმა თევზის პაშტეტით, დაუმატეთ ნახევარი ჭიქა მოხარშული ბრინჯი და მწვანილი.

### ინფორმაცია თემაზე

*თუ ბავშვებს არ უყვართ ხორცი, ხშირად მიართვით თევზი, კვერცხი, ცილების შემცველი სხვა პროდუქტები.

*თუ არ გსურთ შეწვისას თევზის სუნმა შეგაწუხოთ, მდუღარე ზეთში ჩააწყვეთ გათლილი კარტოფილის ნაჭრები.

*თევზი ტაფას არ მიეკრობა, თუ ზეთში, რომელშიც თევზი იწვება, დავამატებთ მარილს.

*თევზი ბულიონისათვის ჩაიდება ცივ წყალში მოსახარშად, სხვა კერძებისათვის – მდუღარეში.

*ბავშვებს მოეწონებათ თევზის კატლეტი და კნედლი.

---

# როგორი შეხედულებები აქვთ სხვადასხვა ხალხებს ბავშვების შეხვევის შესახებ

**შეხედულებები სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარია. სამხრეთ ამერიკული ტომის ქალები მჭიდროდ გამოკრავენ ხოლმე თავიანთ პატარებს, კვებისას კი ხსნიან. ჩინელ ბავშვებს ფეხებს უსწორებენ და ისე ახვევენ. ზოგიერთი აფრიკელი ქალი ბავშვს არ ახვევს და 3-5 თვის განმავლობაში აფუებულ ბალიშებში სვამს...**

## რა აზრის არიან თანამედროვე პედიატრები

ამჟამად ექიმ-პედიატრთა უმრავლესობა თვლის, რომ ბავშვი თავისუფლად, უსახვევოდ უნდა გაიზარდოს, ვინაიდან შეხვევისას ფსიქიკა ძნელად უვითარდებათ და მოძრაობა ეზღუდებათ. ისინი თვლიან, რომ ახალშობილს საკმარისია ჩააცვან „პოლზუნკა" და მოძრაობის სრული თავისუფლება მისცენ.

არადა, უნდა გვახსოვდეს, რომ მუცლადყოფნისას ნაყოფს საშვილოსნოს კედლები მჭიდროდ ეხვევა, იგი შეზღუდულ სივრცეშია, ერთმანეთზე მიკრული მუხლებში მოღუნული ფეხებით, გულზე ჯვარედინად დაწყობილი ხელებით და გულზევე მიბჯენილი ნიკაპით. ასეთი მდგომარეობა მისთვის უფრო ფიზიოლოგიურია, კომფორტული და საიმედო. ფეხმძიმობის ბოლო პერიოდში ნაყოფის მოძრაობა კიდევ უფრო იზღუდება.

დაბადება ბავშვისათვის ძლიერი სტრესია. ახალშობილს ერთბაშად ატყდება თავს ხმების ტალღა (ხმაური), კაშკაშა სინათლე და სხვა აგრესიული ფაქტორები. ამ უცხო სამყაროს ზემოქმედება უფრო ტრავმულია მაშინ, თუ მშობიარობამ მძიმედ ჩაიარა. ახალშობილი პირველივე დღიდან ვერ ითავისებს საკუთარ სხეულს, როცა შესანიშნავად გრძნობდა თავს საშვილოსნოს მჭიდრო კედელებში. თავისუფალ „პოლზუნკასა" და დიდ საწოლში უთუოდ შეეშინდება, რადგან ვერ დაიმორჩილებს ხელ-ფეხის მოძრაობას. საკმარისია ბავშვი გადავახვიოთ და მოძრაობა შევუზღუდოთ, რომ დამშვიდდება. გადახვევა, როგორც თანდათანობითი ადაპტაციის საშუალება, განაპირობებს მსუბუქად გადასვლას ერთი გარემოდან მეორეში – შეჩვეულიდან – შეუჩვეველში. დაბადებიდან სამიოთხი კვირის მერე ბავშვი ეჩვევა ახალ გარემოს და თავად ცდილობს „პელიონკიდან" გათავისუფლებას. ახლა უკვე შეიძლება დღისით შეუკრავი დატოვოთ, ღამით კი, თუ მშვიდად არ იქნება, შევახვიოთ. უფრო ხანგრძლივად სჭირდება შეხვევა უდღეურ და ტრავმირებულ ბავშვებს, მითუმეტეს, მათ „პელიონკა" სითბოსაც უნარჩუნებს, რომლის გაცემის რეგულირება ჯერ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. მალე მათთვისაც დადგება მომენტი, შეგვეწინააღმდეგებიან და გვაგრძნობინებენ, რომ თავისუფლად ყოფნა სურთ.

ა. სტეფანოვი
**მედიცინის მეცნ. კანდიდატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძიძა ბავშვსაც უნდა მოსწონდეს

სანამ სააგენტოს მეშვეობით ანდა დამოუკიდებლად დაიწყებდეთ მის ძებნას, ჩამოაყალიბეთ თქვენი მოთხოვნები: რამდენ ხანს იმუშაოს – მთელი დღე თუ რამდენიმე საათით, მკაცრი გრაფიკით თუ გამოძახებით, როგორ გადაუხდით გასამრჯელოს –თვიურად თუ საათობრივად. ასევე უნდა გადაწყვიტოთ, დაგჭირდებათ ძიძის მოხმარება საოჯახო საქმეში თუ არა. ყველა ეს მოთხოვნა უნდა გააცნოთ მას და ხელშეკრულებაშიც დააფიქსიროთ, რათა გაუგებრობის შემთხვევაში გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, რამდენად გაწყობთ მისი ასაკი, შვილები, სამედიცინო თუ პედაგოგიური განათლება და სხვა რამ.

ძიძის შოვნა ყოველთვის ადვილი როდია, მაგრამ ადრე თუ გვიან, სააგენტოს, მეგობრების თუ განცხადებების საშუალებით ამას მოახერხებთ. და მაშინ თქვენს წინაშე დადგება ახალი პრობლემა: როგორ ავირჩიოთ უკეთესი.

პირველი გაცნობისთანავე ენდეთ საკუთარ ინტუიციას. ამასთან, არ მოგერიდოთ ნებისმიერი კითხვის დასმა. საქმე ხომ ბავშვის კეთილდღეობას ეხება და დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების სრული უფლება გაქვთ. გამოიკითხეთ მისი ჯანმრთელობის, მავნე ჩვევების, აღზრდის მეთოდის შესახებ. გაიგეთ, რამ გადააწყვეტინა ძიძად მუშაობა, რატომ დაანება თავი სხვა ოჯახში მუშაობას. ხომ არ უყვარს ბავშვის დასჯა და სხვა. თუ ძიძას დამოუკიდებლად მიაგნებთ, აჯობებს თქვენთან კი არა, მის ოჯახში შეხვდეთ. ოჯახი ხშირ შემთხვევაში ნათელ წარმოდგენას იძლევა ადამიანზე. თუ ძიძისადმი ნდობა შეგერყევათ, მიეცით გამოსაცდელი ვადა.

ძიძამ დაიწყო თქვენთან მუშაობა. როგორ შეამოწმებთ, კარგად ასრულებს თუ არა თავის მოვალეობას? შეიძლება ამერიკელ დედებსა და მამებს მიბაძოთ, რომლებიც შინ არყოფნისას ჩართულს ტოვებენ დიქტოფონს, ვიდეოკამერას, დაზვერვის სხვა მოწყობილობებს.

ამავე დროს იბადება კითხვა – როგორ დავუტოვოთ ბავშვი ადამიანს, რომელსაც კარგად არ იცნობთ.

ხშირად ვიდეოკამერაზე უკეთ ბავშვი გეტყვით, როგორია მისი ძიძა. სამი წლისა უკვე ამბობს, მოსწონს თუ არა იგი. თუ ბავშვი ჯერ არ ლაპარაკობს, ყურადღება მიაქციეთ მის განწყობას, ხასიათს, ძილს, სახის ფერს, შეამოწმეთ სისუფთავე მის ოთახსა თუ გამოყოფილ კუთხეში. თუ ძიძა თქვენც გაკმაყოფილებთ და თქვენს შვილსაც, მოგილოცავთ. და მაინც, როგორი შესანიშნავიც არ უნდა იყოს თქვენი თანაშემწე, დედურ მოვალეობებს მთლიანად მას ნუ დააკისრებთ. სულაც არ გესიამოვნებათ, ბავშვმა მას რომ „დედა“ დაუძახოს. ხშირად, როცა დედა ძალიან დაკავებულია, ასეც ხდება.

„ლიზა“

## როცა ბავშვი პირველკლასელია



სასკოლო ცხოვრების დასაწყისში პირველკლასელს სტრესები ელის. მოსალოდნელ სიტუაციას მშობელიც მომზადებული უნდა შეხვდეს, პრობლემებს ბავშვის თვალით შეხედოს. მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი შვილის დახმარებას ახალ გარემოში.

საერთოდ, კონტაქტური ბავშვები ყოველგვარ გარემოს ეგუებიან. ზოგი ბავშვი ბაღში უფროსებთან და თანატოლებთან შეიძლება თავისუფლად გრძნობდეს თავს, მაგრამ კონტაქტური სულაც არ იყოს. რამდენად შეუძლია მას სწორი რეაგირება შენიშვნაზე, როგორ მიიღებს თანატოლების თავდასხმებს — გაღიზიანებას, დაცინვას, როგორ მიმართავს თხოვნით ან შეკითხვით მასწავლებელს — ასეთი პრობლემები დგას პირველკლასელის წინაშე.

ზოგჯერ ძალიან ყოჩაღი ბავშვიც კი იბნევა და სწორ პასუხს ვერ იძლევა შეკითხვაზე. ბევრს უნარი არ შესწევს აუხსნას მასწავლებელს სიტუაცია ან თავისი განზრახვა, როცა მერხის მეზობელი ყურადღებას უფანტავს და მეცადინეობაში ხელს უშლის, ზოგს შეუძლია თავის დაცვა, ხმის ამოღება, ზოგი კი ამ სიტუაციაში იბნევა და ჩუმდება.

ნებისმიერ კლასში არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც ადგილზე ვერ ჩერდებიან, წრიალებენ, დგებიან, უნებართვოდ დადიან და წაიმღერებენ კიდეც. საერთოდ, ყურადღების სუსტი კონცენტრაცია დამახასიათებელია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის. ერთი სიტყვით, არიან ხმაურიანი, დაუდეგარი ბავშვები და ზოზინები, ჩუმები.

დაუდეგარები და ხმაურიანები ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან, ჩუმებს კი სტრესები აწუხებთ — განიცდიან შენიშვნის მიცემას, განსაკუთრებით დაუმსახურებელს, აკი ცდილობენ, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებენ.

მშობლებო, დაეხმარეთ ბავშვს ადაპტირებაში. პირველკლასელს გვერდიდან არ მოშორდეთ, გაიგეთ, რა აწუხებდა დღის განმავლობაში. ამით შეძლებთ პატარასთან ერთად გაანალიზოთ მის წინაშე წამოჭრილი პრობლემები, შესთავაზოთ მათი გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტები. წვრილმანი უსიამოვნებანი შეიძლება მსხვილ პრობლემებში გადაიზარდოს და დააკარგვინოს სკოლაში წასვლისა და სწავლის სურვილი, განუვითაროს კომპლექსები, რომლებიც მომავალში ძნელად იხსნება.

მოამზადა ლია კაკაბაძემ

# მოდა

# ერთი მონოგრამის ისტორია

*ორი ერთმანეთზე გადაჯაჭვული ასოს მონოგრამა აგერ უკვე ას ხუთი წელია კეთილდღეობისა და წარმატების უცვლელ სიმბოლოდ ითვლება, თუმცა „Louis Vuitton“ სახელგანთქმული სახლის ისტორია ბევრად უფრო ადრე დაიწყო.*

1835 წელს 14 წლის ლუიმ მხარზე საგზალი გაიდო და ფეხით პარიზს მიაშურა — უნდოდა, რაც შეიძლება შორს წასულიყო მცონარა ბურგუნდიის პატარა ქალაქ ლონ-დე-სონიესგან, სადაც თუ მინერალურ წყაროებს, ყავახანებსა ან რესტორნებს არ ფლობდი, ცხოვრებას აზრიც არ ჰქონდა. ლუი ვუიტონს კი არც ერთი არ ებადა.



პარიზში ლუი დიდხანს არ დარჩენილა უქმად. ერთი თვის შემდეგ მედუქნეს დაუდგა შეგირდად, რომელიც ჩემოდნებს კერავდა და ჰყიდდა. თავისი პირველი, სხვებისგან თითქოს არაფრით გამორჩეული ჩემოდანი ლუიმ 1837 წელს შექმნა, მაგრამ როგორც კი მედუქნემ მისი ნახელავი იხილა, აღფრთოვანებით წამოიძახა: „შენ ვინ ყოფილხარ, ბიჭო!“

საკუთარი სახელოსნო ლუი ვუიტონს მხოლოდ 17 წლის შემდეგ ელირსა და მაშინვე მცლავეზდაპინებული შეუდგა მუშაობას, რადგან მის მიერ შექმნილი ჩემოდნები და სამგზავრო ჩანთები მოსახერხებელი ფორმებითა და საიმედო საკეტით გამოირჩეოდა. 1854 წელს დღის სინათლე იხილა მუქი ყავისფერი კანტებითა და სპილენძის ფურნიტურით გაწყობილმა ყავისფერმა ჩემოდანმა, კიდევ 20 წლის შემდეგ კი ჩალისფერ-ყავისფერ ვიწროზოლებიანი ჩემოდნები და ჩანთები გაჩნდა. 1875 წელს ლუის ახლო მეგობარმა და სახელგანთქმულმა კუტურიემ ჩარლზ ფრედერიკ უორტმა იწინასწარმეტყველა, რომ რამდენიმე წელიწადში მძიმე კრინოლინს მსუბუქი და ჰაეროვანი კაბები შეცვლიდა: „ასე რომ, იფიქრე, ძამიკო, ცვლილებების დროა“. ლუიმაც, რომელმაც მშვენივრად უწყოდა ჩარლზის უტყუარი ალღო, პროგნოზი გაითვალისწინა და მომხმარებელს ახალი მოდელები — პატარა სამგზავრო ჩანთა და ტევადი, გამოსაწევუჯრებიანი ჩემოდანი შესთავაზა. მალე ვუიტონი ცოლ-შვილთან ერთად ხმაურიანი პარიზიდან თავისი ლუარის ფაბრიკის სიახლოვეს პატარა ქალაქ ანიერში დასახლდა და დიდკაცივით დააბიჯებდა ქუჩებში, სადაც ოდესღაც პარიზისკენ მიმავალმა ფეხშიშველა ბიჭმა ჩაიარა.



მას შემდეგ, რაც სახლს ჩაუდგა სათავეში, ლუის ვაჟმა ჟორჟ ვუიტონმა განიზრახა, რამდენადმე გაერთულებინა ორნამენტი, რომლითაც მამის ნაწარმი გამოირჩეოდა და 1896 წელს ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ასოები — აწ უკვე სახელგანთქმული მონოგრამა შექმნა. იმ დღიდან ასეთი მონოგრამით აღბეჭდილი სამგზავრო ჩანთები და ჩემოდნები ყველა რესპექტაბელური მაღაზიის ვიტრინებს ამშვენებდა და, რაც მთავარია, ლონდონში ოქსფორდ-სტრიტზე იყიდებოდა, საიდანაც დაიწყო კიდეც „Louis Vuitton“-ის მსოფლიო დიდება...



სამი წლის წინ კომპანიაში ამერიკელი დიზაინერი მარკ ჯეიკობსი მიიწვიეს. „სტილი და ბრწყინვალება ყოველთვის გამოარჩევდა „Louis Vuitton“-ის ჩანთებს სხვათაგან. სწორედ ასეთი უნდა იყოს ტანსაცმელიც“ — განაცხადა მოდელიერმა და საქმეს შეუდგა. მალე კი სახელგანთქმული მონოგრამა მისი კოლექციის ნაწარმზე — „Louis Vuitton“-ის სახლის უბრალო და არაჩვეულებრივად ლამაზ კოსტუმებსა და კაბებზე გაჩნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უზბეკური სამსა

**მასალად საჭიროა:**

**ცომისათვის:** 4 ჭიქა ფქვილი, 1 სუფრის კოვზი კარაქი, 2 1/2 ჭიქა ცხელი წყალი, 1 ჩაის კოვზი მარილი,

**ფარშისთვის:** 500 გრამი საქონლის ფილტვი, 200 გრამი გული, 175 გრამი ღვიძლი, 3 თავი ხახვი, მარილი, პილპილი ან წიწაკა გემოვნებით, 2 სუფრის კოვზი ცხიმი.

**მომზადების წესი:** ფქვილი გაცერით, გაუკეთეთ ჩაღრმავება, დაუმატეთ შერბილებული კარაქი, მარილი, ცხელი წყალი და მოზილეთ ცომი. დადგით 20 წუთით. შემდეგ ნაჭრებად დაჭერით. გააბრტყელეთ, თითოეულზე მოათავსეთ ფარში და თავი მოუკარით. ცხვება 230-240$^0$C-ზე 7-10 წუთის განმავლობაში.

**ფარშის მომზადება:** ცალ-ცალკე მოხარშეთ გული, ფილტვი და ღვიძლი. გაატარეთ ხორცის მანქანაში, დაუმატეთ ცხიმში მოშუშული ხახვი, პილპილი, მარილი და კარგად აურიეთ.

## ციმბირული პელმენები

**მასალად საჭიროა:**

**ცომისათვის:** 1 ჭიქა ფქვილი, 1 კვერცხი, 1/2 ჭიქა წყალი, 1 ჩაის კოვზი მარილი.

**ფარშისთვის:** 200 გრამი საქონლის და 260 გრამი ღორის ხორცი, 1 თავი ხახვი, პილპილი, 1 კვერცხი, 1 ჭიქა წყალი, მარილი, კარაქი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი ხახვთან ერთად მანქანაში გაატარეთ და შეურიეთ კვერცხი, მარილი, პილპილი გემოვნებით. მოზილეთ ცომი. დაყავით პატარა ბურთულებად, გააბრტყელეთ 5-6 სმ. დიამეტრზე. თითოეულის შუაგულში მოათავსეთ ცოტაოდენი ფარში, ნაპირებზე ათქვეფილი კვერცხი მოუსვით და თავი მოუკარით. მზა პელმენები მდუღარე ძვლის ბულიონში ჩაუშვით 8-10 წუთით. შემდეგ ამოიღეთ, ცივი წყალი გადაავლეთ, კარგად დაწრიტეთ და მოასხით ცხელი გამდნარი კარაქი. სუფრაზე მიიტანეთ გახეხილ ყველთან ერთად. შეიძლება ზემოდან მოაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში ან მოასხათ არაჟანი.

## სომხური შაქარ-პური

**მასალად საჭიროა:**

2 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა ერბო, 1 ჭიქა შაქრის „პუდრა", 1 კვერცხი, 1 პაკეტი ვანილი.

**მომზადების წესი:** ჭურჭელში მოათავსეთ ერბო, კარგად ასრისეთ კოვზით, დაუმატეთ კვერცხი და სრისეთ 2-3 წუთს. თანდათან დაუმატეთ შაქრის „პუდრა", ვანილი და კიდევ 2-3 წუთს თქვიფეთ. ჩაუმატეთ პატარ-პატარა ულუფებად ფქვილი და 20-25 წუთის განმავლობაში ზილეთ ცომი.

მიღებული მასა ფქვილმოყრილ ფიცარზე გადაიტანეთ, დაყავით ნაწილებად, თითოეულს პატარა ბურთულის ფორმა მიეცით და ცხიმწასმულ ტაფაზე დააწყვეთ. ცხვება 150-160$^0$C-ზე 25-30 წუთის განმავლობაში. მზა ნამცხვარი შეაგრილეთ და შაქრის „პუდრა" მოაყარეთ.

## აზერბაიჯანული ფახლავა

**მასალად საჭიროა:**

**ცომისათვის:** 7 ჭიქა ფქვილი, 4 სუფრის კოვზი კარაქი, 2 კვერცხი, 40 გრამი საფუარი, 1 ჭიქა წყალი.

**გულისთვის:** 2 ჭიქა შაქრის „პუდრა", 500 გრამი ნიგოზი ან თხილი, 8-9 მარცვალი კარდამონი, 4 ჩაის კოვზი დარიჩინი.

**მოსასმელად და მოსასხმელად:** 200 გრამი კარაქი, 250 გრამი თაფლი, 1 კვერცხი.

**მომზადების წესი:** კარაქი, კვერცხები და 1/2 ჭიქა წყალი 3 წუთის განმავლობაში თქვიფეთ. ცალკე ჭურჭელში საფუარი დარჩენილ 1/2 ჭიქა წყალში გახსენით, შეურიეთ პირველ მასას და კოვზით 15 წუთის განმავლობაში სრისეთ. შეათბეთ 20$^0$C-მდე და დადგით საათნახევრით 22-25$^0$C-ზე ამოსასვლელად.

**მოამზადეთ გული შემდეგნაირად:** ნიგოზი ან თხილი დანაყეთ ან მანქანაში გაატარეთ, დაუმატეთ დაფქვილი კარდამონი, დარიჩინი და ყველაფერი შაქრის „პუდრასთან" ერთად აურიეთ.

როცა ცომი ამოვა, 2 ნაწილად დაყავით. ერთი ფირფიტა 1,5-2 მმ, სისქეზე მეორე კი 2-2,5 მმ. სისქეზე გააბრტყელეთ ისე, რომ მათი ზომები ყალიბის ზომას ემთხვეოდეს. ცხიმწასმულ ყალიბზე მოათავსეთ უფრო სქელი ფირფიტა, ზემოდან 3-5 მმ. სისქეზე წაუსვით გული, დააფარეთ თხელი ფირფიტა და გვერდები კარგად ჩაუკეცეთ ისე, რომ ღია ადგილი არ დარჩეს. ფახლავა ყალიბზე უნდა ამოვიდეს 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ ზემოდან ათქვეფილი კვერცხის გული მოუსვით.

ფახლავა რომბისებურ ნაჭრებად (5X7 სმ) დაჭერით და მაშინვე შედგით კარგად გახურებულ (200-220$^0$C) ღუმელში. 10-12 წუთის შემდეგ გამოიღეთ და კვეთის ადგილებში გამდნარი კარაქი მოასხით, ისევ კვერცხის გული მოუსვით და ღუმელში ნახევარი საათით შედგით. პირველი 7-10 წუთის განმავლობაში ტემპერატურა მაღალი უნდა იყოს. შემდეგ სიმხურვალეს დაუკელით და 20-25 წუთის მანძილზე ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ. მზა ცხელ ფახლავას ყალიბზევე კვეთის ადგილებში თაფლი მოასხით, აცადეთ კარგად გაიჟღინთოს და მხოლოდ შემდეგ გადაიტანეთ ხელსახოცზე გასაგრილებლად.



**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის ტელეფონი:**
**99-98-71**

**ჟურნალში რეკლამების განთავსების მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:**

**99-98-71, 93-43-02**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აუცილებლად დავბრუნდები



●თეონა სურგულაძე

შეუძლებელია, ერთი შეხედვით არ მოგხიბლოთ ცისფერთვალება გოგონამ, რომელიც ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლის არის, ცხოვრებას ახლა იწყებს და რთული ქარტეხილები ჯერ არ შეხებია.

ცხოვრების გზაზე ბავშვური, მაგრამ მტკიცე დამოუკიდებელი ნაბიჯებით მიიწევს წინ თეონა სურგულაძე, რომელიც სულ მალე ამერიკაში გაემგზავრება და როგორც თავად ამბობს, ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოსდა ომში მიდიოდეს. თუმცა საკუთარ ძალებში დარწმუნებული მაშინვე დასძენს, რომ დამარცხებას ნამდვილად არ აპირებს.

— პირველად შარშან ჩავედი ამერიკაში, სადაც დედაჩემი და ჩემი ძმა გიორგი ცხოვრობენ. სამი თვე დავრჩი მათთან და თავი ამერიკული ფილმის გმირი მეგონა. არაჩვეულებრივი დრო გავატარე: ზღაპრული დისნეი-ლენდი, ხმაურიანი კაფე-ბარები, ხალხმრავალი კინო-თეატრები, ოკეანისპირა პლაჟები და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში დაბრუნებამდე ერთი სული მქონდა.

**— ახლა რამდენი ხნით მიდიხარ?**

— ამჯერად უკვე დიდი დროით და დიდი გეგმებით მივემგზავრები. ამერიკულ კოლეჯში — „მომავლის სკოლაში“ ვსწავლობ. კარგად დავეუფლე ინგლისურ ენას, მაინტერესებს გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა. ამერიკაში სწავლას სკოლაში გავაგრძელებ, შემდეგ კი უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარებ.

**— რატომ დაინტერესდი იურისპრუდენციით?**

— ადამიანს, პირველ რიგში, თავის დაცვა უნდა შეეძლოს, რაც საკმაოდ კარგად შემიძლია. პატარაობიდანვე მაღიზიანებს, როცა ერთი მეორეს ჩაგრავს, ადვოკატობაც იმიტომ მინდა, რომ უსამართლოდ დაჩაგრულს დავეხმარო, — ბავშვური გულწრფელობით ამბობს თეონა.

— უბანში მისი შიშით პატარის დაჩაგვრას ვერავინ გაბედავს — ღიმილით მეუბნება თეონას ბებია ქ-ნი მერი, —ამ თვისების გამო, სიყვარულით პეპიც კი შეარქვეს.

— ქ-ნი მერი „მკაცრად დაიტუქსა“:

— კარგი, რა, ბებო, მე მეკითხებიან და თავად ვუპასუხებ.

ცნობისმოყვარე ნიჭიერმა გოგონამ ყველგან მოსინჯა ძალები და ყველგან აღმოაჩინა საკუთარი თავი და შესაძლებლობები. შვიდი წელი ეუფლებოდა ბალეტის ურთულეს ხელოვნებას, პატარაობიდანვე დადიოდა სპორტული ცურვის სექციაზე და ხატვაზე. ამჯერად კი ჩოგბურთით არის გატაცებული.

— ამერიკაში ზერელე ცოდნით ნაბიჯსაც ვერ გადადგამ წინ. უდიდესი ძალისხმევა სჭირდება ჩემს ძმას, რომელიც მეორე წელია ამერიკაში ცხოვრობს და სწავლობს, თუმცა დიდ შრომას შედეგიც დიდი მოაქვს. გიორგის სკოლიდან დედა ყოველთვის მადლობის წერილებს იღებს.

**— დაბრუნდები საქართველოში?**

— აუცილებლად დავბრუნდები, ოღონდ ჯერ ბევრი უნდა ვისწავლო, რათა ჭეშმარიტი პროფესიონალი დავბრუნდე საქართველოში.

გზა დავულოცოთ თეონას, ყველა მიზნის შესრულება და შინ მშვიდობით დაბრუნება ვუსურვოთ მას!

მარინე ნაკაიძე

**ფოტო იხ. გარეკანის IV გვერდზე**



ფასი სახელშეკრულებო

ინდექსი 76178